

6994

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
კავშირების  
სამსახური



# საქართველო

საბჭოთაო  
საგარეო  
კავშირების  
სამსახური



1917



მოსკოლის

№ № VIII & IX.



# მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.

დასუბრათებული საჟმავნილო ჟურნალი

წელიწადი  
მეთოთხმეტე.

## „ნაკადული“

წელიწადი  
მეთოთხმეტე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით  
საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით  
მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციის, ეცდება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით ორი წიგნი გამოსცეს თვეში და მოზრდ-ლთათვის—ერთი წიგნი; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, 32 გვერდი, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.


ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გახული წლის კომპლექტები.

### ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძისთან. ბათუმში—ტროფიმ ინასარიძისთან, ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძისთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან ტ. ნინო ლომოურთან. ჭიათურაში—ი. წერეთელთან. ხონში—მ. ი. ქაქეანიძისთან. მიხაილოვოში—გიორგი ნაკაშიძისთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძისთან, ლანჩხუთში—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# ნაკადული

სამხარველი

ქართული

წილიანი 89-XIII.

№№ 8, 9.

1917 წ.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—სურათი .....	1
II—ნაკადული, —ლექსი ი. ხანუქაძისა .....	5
III—ფერო, —მოთხრობა ინ-ბანისა .....	7
IV—შავ ტუანეტას შვილობილი, —მოთხრობა ჯემისო- ნისა, (შემდეგი) თარგმანი დათიკო ანთაძისა .....	21
V—აქლემი და ნემსი, —აკუნოვისა, თარგმანი იდ. ნაკა- შაძისა .....	55
VI—ფინეთი, —დ. ჩ—ისა .....	66
VII—ჩვენი სამშობლოს წყლები, —გორის-ჯვრის აბა- ნო ი. ხუცაშვილისა .....	70
IX—გასართობი: —რებუსი და ახსნა .....	79



## ნაკადული

ტყის პირს,  
 კლდის ძირს,  
 მზიარული  
 ნაკადული  
 მოხტუნავედა რაკრაკითა...

და ის  
 იის  
 მომკინარეს  
 არემარეს  
 გაართობდა არაკითა;

და მე  
 ლამე,  
 როს წუხილი,  
 გულს ქუხილი  
 შემეყროდა... იქ ვიღოდი...

ჩემს პირს,  
 საყვირს,  
 გარისხული,  
 დაზაგრული  
 მხოლოდ მარტოდ მას ვეტყოდი.

და რო  
 წყარო  
 მომისმენდა,  
 გულს მიწმენდა  
 და ჩემს ვარამს წყალს იტანდა...

და გულს,  
 დაგულს,  
 აცინებდა,  
 ახარებდა,  
 ნაცვლად სევდის ვარდს მატანდა...

ი. ხინველი.





# უ ე რ ო

I



უხელის გადიამ ზღაპარი უამბო და გონებიდან  
 ვერ მოეცილებინა. ტახტს მოშორდა, კოშკის  
 სარკმელთან კედელს მიეყრდნო და ცის სივრ-  
 ცეს დაუწყო ცქერა... ოცნებამ გაიტაცა... ჯერ  
 კიდევ ნორჩ გულში უცნაური სევდა იგრძნო  
 და თვალები მოენისლა. დიდხანს, დიდხანს იყო  
 ჩაფიქრებული.

სადღაც ისარმა გაიზუზუნა, ზუზუნს კენესა  
 მოჰყვა... ქალი შეკრთა და გამოიჩვენა, შუბლზე  
 ხელი მოისვა. მაგრამ მალე ისრის ზუზუნი გადააფიწყდა, სა-

ხეზე ღიმი აღებეკდა და თვალები გაუსხიოსნდა: ბავშურმა აზრმა გაუელვა თავში. ზანდუკთან მიირბინა და ძვირფასი ტანისამოსი და სამკაული ამოალაგა. ოქროს ქოშებში ფეხები წაჰყო, მუქი შვინდისფერი აბრეშუმის გულ-ამოჭრილი პერანგი გადაიცვა, მჭრალი, ცისფერი კაბით შეიმოსა და წელზე დიბის სარტყელი შემოიკრა; უმანკო თეთრი მკერდი მარგალიტის ყელსაბამით დაიმშვენა, თავზე ჯილა დაიდგა, სარკმლის ბაქანს მიეყრდნო და წკრიალა ხმით დამღერა:

ლურჯს რაშზე იჯდა ქაბუკი,  
სარკმლის წინ გამოშიარა,  
გულსა სურვილის ისარი  
მესროლა, დამაიარა.

— რა ამბავში ხარ, ფერო?... პაი შე კუდრაქავ, შენა! — გაიგონა მომღერალმა ქალმა და სიცილ-ხარხარით სარკმლიდან ჩამოხტა: კარებში გაღია დაინახა, ჩიტივით გაქეპანა და გადაეხვია.

— ჩემო თინანო, ჩემი თავი ის მზეთუნახავი მეგონა, გუშინ რომ მითხარი და ვმღეროდი.

— მერე ხელმწიფის ვაჟი? — შეეკითხა ხუმრობის კილოთი ვაღია.

— ხელმწიფის ვაჟს კი ვერსადა ვხედავდი... მხოლოდ ენატრობდი! — სტყვა ამოოხვრით ფერომ და სახეზე სევდის მსუბუქი ბურუსი გადაეფარა.

— უი, თვალები კი დამიდგა, თვალები! — წამოიძახა თინანომ. — რატომ აგრე დამილონდი? რატომ აგრე გულს ჩაგწდომია გამოყრუებული ვაღიას ზღაპარი? წადი, აგრემც თავს შემოგვევლები! წადი, შევილო, გარეთ გაიარე, გაერთე! მშვენიერი შაისის დილაა! ისეთი ლამაზი ყვავილები გაშლილა, რომ ადამიანს მოწყვეტა დაენანება.



ფერომ ყვავილების სახელი გაიგონა და ყველაფერი გადავიწყდა. ტანისამოსი გამოიცივალა და გარედ გასრიალდა.

— მართლაც რომ ფერო სწორედ ხელმწიფის შვილისათვის არის გაჩენილი! — სთქვა მარტოდ დარჩენილმა გადიამ და დასასვენებლად ტახტზე ჩამოჯდა. პატარა ხანს უკან მუთაქა მოითრია, მხარზე წამოწვა და ისე განაგრძო: — დავით ომანიძის ასული არავისგან არის დასაწყუნი, ლამაზია და მშვენიერი. მაგის მამას მაგაზე მეტი არავინა ჰყავს. ეს ამოდენა სიმდიდრე, — ულრანი ტყეები, ქალები და ველ-მინდორი, ვის დარჩება, თუ არ ჩემ ფეროს? ამ თეთრი ქვით ნაგები ციხე-დარბაზის პატრონი ვინ გახდება, თუ არ დიდი ომანიძის მზის დარი ასული, მამის ერთად-ერთი ნუგეში? მზირავისთანა ციხე-დარბაზს მთელ დედამიწის ზურგზედაც კი ვერ ნახავს კაცი! განსვენებულმა ქალბატონმა პატარა ფერო მე ჩამაბარა. როგორც შემეძლო — ისე ვუვლიდი. დროა მე მოვისვენო: ძალიან მოვტყუდი. მოვხუცდი! დროა მაგან შესაფერი პატრონი იშოვნოს! დავითიც ხანში შევიდა; ვინ იცის, რამოელის!.. — გადიამ მძიმედ ამოიოხრა და თავი დახარა: თავის გაზრდილის მომავალმა ბედმა ძალიან დააფიქრა. მალე თვალები მიელულა და ძილმა თავი წაართვა.

## II

პებელასებრ დაკქრიალებდა ყვავილთა ბუჩქთ შორის. თავიდან მანდილი მოეხსნა და შავ ნაწნავების ხროვა თავისუფლად ეხლაქნებოდა მხრებზე, სახე გაზაფხულივით ეცვლებოდა: შავი წარბები ხან ერკალებოდა, ხან ეშლებოდა.

ტბასთან მიიბრინა. თითის წვერებზე შედგა, ლერწამივით გადიხარა და ლერწამი ნელ-ნელა გადმოხარა.

— ნუ კანკალებ, ლერწამო! ფერო არაფერს დაგიშავებს, ფერო ყვავილებს ვთავაზობს! — წასჩურჩულა ქალმა მცენარეს და კენწეროზე თავიგული მიაკრა.

ფეროს ყურამდე გზინვამ მოახწია და ლერწამს წამსვე თავი დაანება. ბუჩქის ძირს მიგდებულ მანდილს ხელი წამოავლო, თავზე მოიხვია და ახლო მყოფ ხშირ თხილნარში შესრიალდა. რამოდენიმე ხნის უკან ქალი უმანდილოდ გამოიქრა ტვერიდან და შინისაკენ გაეშურა.

### III

მზირავის ფართო გალავანში მეომრებს მოეყარათ თავი, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყვნენ და ერთი ამბავი ჰქონდათ: რიგი ცხენს სწმენდავდა და ჰკაზმავდა, რიგი ხმაღს ლესავდა და პირს უსინჯავდა, რიგი იარაღის ხმარებაში ვარჯიშობდა და რიგი მღეროდა.

სახლიდან აივანზე იარაღში ჩამჯდარი შუახნის ვაჟიაცი გამოვიდა და თან ლაპარაკით თინანო გამოჰყვა.

— დროა, ბატონო, დრო! ეუბნებოდა მოხუცი გაღია.— მე დღეს თუ ხვალ საფლავში ჩავალ, ძალა გამომელია, ძლიოსათვის თავი მიკვდება. შენც ხანში შეხვედი... ვინ იცის—კაცს რა მოელის! მართალია ქვეყნისათვის ზრუნავ, მაგრამ მარტო ეგ საკმარისი არ არის, შენი სისხლი და ხორციც უნდა გაგონდებოდეს...

დავითი ყურს უგდებდა თინანოს და სახე ეღვრიმებოდა. ნახევარი ცხოვრების გზა გაელია და ფეროს მომავალზე კი ჯერაც არაფერი ეფიქრნა. აქნობამდე ვერ წარმოედგინა, თუ როდისმე ერთად-ერთი საყვარელი შვილი გაშორდებოდა. დღეს დავითს ფეროს გათხოვების დრო გაახსენეს და გული მოეკუმშა.

— მერე ჩემნაირად ვინ შეინახავს ჩემ ფერიკოს?— შეეკითხა დავითი თინანოს და ძლიერად ამოიოხრა.— ან ჰსურს თვითონ გათხოვება?

— უი თვალები კი დამიდგეს, თვალები!— წამოიძახა თინანომ.— მავას რას მიბრძანებ, ბატონო! ფერო შვილია, ქა-

ლია და მშობელის სიტყვა უნდა გაიგონოს. ჰსურს თუ არა ჰსურს, რაკი გათხოვების დრომ მოუწია, უნდა გათხოვდეს. ქალი როდის შეჰბერებია მამის ოჯახსა?

— მერე ვის მივათხოვო?

— უნდა გამოარჩიო რიგიანი ვინმე. ცოტანი არიან კიი გვარის შვილები? მადლობა ღმერთს, საქართველოში მტრის პასუხის გამკცმი ვაეკაცი ჯერ კიდევ არიან, არ გაწყვეტილან!

— კარგი, მოხუცო, კარგი!.. ჯერ კი არა მცალიან...

— ბატონო, ყველაფერი მზად არის!— მოახსენა დავითს აივანთან მოსულმა ქალარა მეომარმა.

— ცოტა კიდევ მომითმინეთ, გიგი, ცოტა კიდევ!— უთხრა ბატონმა ყმასა და ცას შეხედა.

მზე მალლა წამოწეულიყო. შუა დღე ახლოვდებოდა.

— ნეტავ აქამდის რა იქნა ფერო?— წამოილაპარაკა დავითმა თავისთვის.

— ბატონო, დილას რომ ყაჩაღები დავიქირეთ, რა უნდა ვუყოთ?— შეეკითხა მოწიწებით გიგი.

— ჰო, მართლა!.. ამ მზადებამ სულ გადამავიწყა .. აბა, მომგვარეთ!.. რანაირად ვნანობ, რომ ის ერთი გამექცა!.. დაიჭრა კია! სადმე ოხრად ამოხდება სული...— ომანიძემ ლაპარაკი შეწყვიტა: გალავანში ფერო შემოიჭრა.

— მოხვედი?— დაუძახა მამამ შვილსა.

ფეროს პასუხი არ გაუცია. ჯერ უცბად შეჩერდა, ბევრი ხალხი რომ დაინახა, და მერე ნელის ნაბიჯით გამოემართა მამისაკენ.

— ჩვენ ძვირფას ანგელოზს ბატონიშვილს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!— წამოიყვირეს მეომრებმა ფეროს დანახვაზე.

სხვა დროს ქალს ამგვარ სალამზე მხიარულად უპასუხენია, ახლა კი როგორღაც უგულოდ დაუკრა თავი.

დავითმა შვილს თავისთან მოსვლა აღარ აცალა, ჩამოვიდა თვითონ აივნიდან და ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდა, თვალეებში აკოცა და მზრუნველი კილოთი შეეკითხა:

— შეილო, სად იყავ აქნობამდე? მანდილი რა გიქნია? ან ფერი რად წავსვლია? სად არის შენი სიმარდე?

— მაძი, აღმართი სირბილით ამოვედი და დავიღალე!... მაძი, იქ, ტბასთან, ისრით დაქრილი ახალგაზდა ვნახე! მწარედ გმინავდა. წყლული მანდილით შეეუხვებე... მაძი, ამოვიყვანოთ!

— დაქრილი, შვალო? აბა სადა? აბა მიწვენი? — შეეკითხა აჩქარებით დავითი ფეროს.

ომანიძემ ასული გაღვენის ბურჯისაკენ წაიყვანა.

— ეს უთუოდ ის იქნება, ისა, დიღას რომ დავეკვრით, — სთქვა მებატონემ.

მამა და შეილი ბურჯზე ავიდნენ. თვალ წინ საუცხოო სანახაობა გადაიშალა.

ომანიძის ციხე-დარბაზი, მზირაფი, პატარა მთის ვაკეზე იყო ამართული და დაბლა მიდამოებს სამასი წყრთის სიმალიდან დაჰყურებდა. მთის კალთები სულ მწვენითა და ვარდის ბუჩქნარით იყო დაფარული. მთის ძირში კიდევ ლურჯად მომღიმარე ტბა მოსჩანდა, რომელიც ხან მზიან, მომზიარულებულ ცას იხუტებდა გულში, ხან კიდევ შუბლ-შეკრულსა და მრისხანესა. აღმოსავლეთით ტბის ნაპირებს ქალები და ველ-მინდორი შემოჰხვეოდა, სამხრეთ-დასავლეთით, ორასიოდე ნაბიჯის სიშორეზე, უღრანი ტყეები იწყობოდა, მზირაფის ჩრდილოეთით უხვევდა და სადღაც შორს მთების ფერხულში იკარგებოდა. ომანიძიანთ ტყე ცხოვრების მომღურავთათვის კი ბუნავს წარმოადგენდა: სამალაგებით სავსე იყო.

— აი მაძი, აგე იმ თხილნარში გდია უპატრონოდ, — უთბრა მაძის ფერომ.

— გიგი! — დაუძახა თავის ერთგულ ყმას დავითმა.

გიგის ხელებ გაკრული ყაჩაღები ამოეყვანა საკანიდან და ბატონის ბრძანებას ელოდა. გაიგონა თუ არა თავისი სახელი, დაქერილები მეომრებს ჩააბარა, თვითონ კი დავითს ეახლა.

— ბატონო, ამოვიყვანე! — მოახსენა თავდაბლად ბატონს ყმამა.

— კარგი ჩემო ერთგულო! — უთხრა დავითმა. — ახლა ყური დამიგდე. ხელავ ტბის ნაპირას თხილნარის ტყერსა? იქ დაკოდილი მაგათი ბელადი გდია! ახლავე წაასხი კაცები და აქ ამოაყვანინე. დარწმუნებული ვარ — მაგ ვაებატონის სიცოცხლის მოსპობით ჩემ ტყეებში დიდი ხნით სიმშვიდე ჩამოვარდება. გამელელსა და გამომელელს თავისი ამხანაგებით მოსვენებას არ აძლევდა: უნდა სამაგალითოდ დავსაჯო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ფერო შეკრთა: ის, რომლის სახეც გულში ჩარჩა, ყაჩაღი აღმოჩნდა, სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა. დავითის სიტყვა ბეჭედი იყო.

გიგი ბრძანების ასასრულებლად გაემართა.

მაღე დავითიც ჩამოვიდა თავის ქალით ბურჯიდან და შეპყრობილ ყაჩაღებთან მივიდა. ორ გაბაწრულ მხარ ბეჭიან ახალგაზდას თავი ჩაელუნა და დედამიწას უაზროდ დასცქეროდნენ.

დავითს თავში რაღაცა აზრმა გაურბინა.

— ეჭვი, თქვენ, გაუხსენით ხელ-ფეხი! — უბრძანა დარაჯად მიყენებულ შეომრებს. — გაუხსენით ხელ-ფეხი და ხმლები მიეცი!

დარაჯები ბატონის ბრძანებამ გააკვირვა და გააშტერა. არ განძრეულან.

— არ გესმით, თქვენა?! — დაუყვირა მრისხანეთ დავითმა. — ასსრულეთ ჩქარა ჩემი ბრძანება.

დარაჯები გამოირკვნენ, ტყეები გაანთავისუფლეს და ბატონის ბრძანებისამებრ ხელში ბასრი ხმლები მისცეს.

განთავისუფლებულებს სახე გაუნათლდათ: ეგონათ ბატონმა სიცოცხლე გვაჩუქაო, მაგრამ იმას კი ვერ მიმხედარიყვნენ, თუ ხმლები რაღათ დააქვრინეს.

ბატონის ყვირილზე მთელმა მხედრობამ ყაჩაღებთან მოიყარა თავი. ყველანი გოაცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ეს რას ნიშნავსო.

— აბა, ერთი ცოტა განზე ვაიწით!— აგრე ახლო ნუ დგებართ, პატარა მოედანი დააგდეთ!— უბრძანა მეომრებს დავითმა.

ყაჩაღების გარშემო ადგილი მოცარიელდა.

— თქვენ, გესმით!— მიმართა დავითმა განთავისუფლებულებს.— ნუ კი გგონიათ, რომ თქვენ თქვენი დანაშაული გეპატივათ! თქვენ დაისჯებით.

ყაჩაღებს სახე მოელუსათ. მიიხედ-მოიხედეს, გაქცევა დააპირეს, მაგრამ, რა ნახეს რომ ამოდენა შეიარაღებულ ხალხში ვერას გააწყობდნენ, უმწეოდ ჩაპკიდეს თავი.

— თქვენ გესმით!— განაგრძო დავითმა, — მეფე მიბარებს... ჯარი საჭიროა... უნდა ერთმანეთს შევებათ. რომელიც აჯობებს, ცოცხალი დარჩება, იმას მეც ვაჩუქებ სიცოცხლეს. ჩემ რაზმში ჩავრიცხავ და ომში წავიყვან... მეფის დაცვის ღირსი გახდება. არ შეასრულებთ, და ორივე დაიხოცებით.

ყაჩაღებმა ხმლები ასწიეს. ორივეს სიცოცხლის ძლიერი სურვილი აღეძრათ გულში... საბრძოლველად გაემზადნენ.

დავითის მეომრებს სახეზე სიამოვნების ღიმილა გადაჰკრა. ომში გაწვეულთ ბატონმა გასართობი გაუმართა. ფეროს თავის დაქრილი ჯადავიწყდა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა სასიკვდილოდ გამზადებულ ვაჟკაცებს. ქალში მეომრის სულმა გაიღვიძა და თვალემა გაუნათლდა.

მაგრამ ყაჩაღებმა მალე ისევ ძირს დაუშვეს ხმლები: ერთმანეთის გამეტება მხოლოდ წუთიერი იყო.

— აბა რალას აყოვნებთ? რალათ დაუშვით ხმლები? — შეეკითხა ომანიძე. — მაშ გინდათ რალა თავები დაგაყრვეინოთ?

— ბატონო, არ შეგვიძლიან! — მოახსენა ერთმა ყაჩაღთაგანმა.

— ამზანაგები ვიყავით ქირშაიაც და ლხინშაიაც, და ახლაც ამზანაგები ვიქნებით, — დასძინა მეორემ. — ერთმანეთისთვის არას დროს არ გვიღალატნია, და არც ახლა ვუღალატებთ.

ჩვენ ერთმანეთს სასიკვდილოთ ვერ გავიმეტებთ. აღსრულდეს ნება თქვენი: დაგვაყრვენიეთ თავები!

ამხანაგებმა დავიძოს ხმლები ფეხთწინ დაულაგეს და სასჯელს დამშვიდებულგებმა დაუწყეს ლოდინი.

მაყურებელნი გაოცდნენ. ყველა იმას იძახდა: აი ყაჩაღ, აგრე უნდაო. დავიძომა ველარა აწამა-რა.

— მაჰი, აპატიე! — უთხრა წყნარად ფერომ. — ღირსნი არიან.

მებატონე შეყაყმანდა, სიტყვის გადათქმა აღარ უნდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც სულგრძელობამ დასძლია სიმკაცრესა.

— შიჩუქებია თქვენთვის სიცოცხლე სამაგალითო ამხანაგობისათვის! — უთხრა ყაჩაღებს აღელვებულმა დავიძომა. — დეე, ისევ ღმერთი იყოს თქვენი მსაჯული. აბა მოუტანეთ საქურველი, ჩააცვით. ჩემ რაზმში ვრიცხავე. დეე მტრის სისხლის აღებით გამოისყიდონ თავისი ცოდვები!..

— დაქრილი ბელადი მოჰყავთ, დაქრილი ბელადი! — გაისმა ხმა დავიძის შემოჩრებში.

გალავანში საკაცე შემოიტანეს. წინ გიგი მოუძლოდა. ყაჩაღთა ბელადი მებატონის წინ დაასვენეს. განიერი მაღალი შუბლი სიმწარისაგან დაპლაროდა, ხშირი წარბები კოპებათ შეკროდა, ფერი წასვლოდა. ეტყობოდა — ბევრი სისხლი დაჰღვროდა. ფეხის კუნთი ჰქონდა დაქრილი, დაჰსიებოდა... ზედ ფეროს მანდილი ჰქონდა შემოხვეული.

— შეჭხსენით ე მანდილი! — ბრძანა დავიძომა.

— არ იშორებს, ბატონო! — მოახსენა გიგიმ. — გვინდოდა კრილობა მოგვებანა, და ნება არ მოგვცა. ასე გვითხრა, რომ მაინც სიკვდილი არ ამცდება, თქვენი ბატონის სიმკაცრე ვიცხო. ეს ერთი თხოვნა ამისრულეთ, მანდილს ნუ შემომხსნით, ანგელოზმა მაჩუქაო. ჩემ სიცოცხლეში ერთად-ერთმა ადამიანმა შემიბრაღა, და ნუ ამომაშხამებთ ამასაცაო.

— ჩვენ დავესაჯე, ბატონო, ჩვენა! — გაისმა უცბად მუდარა. — ოღონდ მაგას კი სიცოცხლე აჩუქე!.. მაგასთან სხვის უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის.

დავითის წინ ორი ნაპატებელი, უკვე იარაღში გამოწყობილი, დამზობილიყო და წყალობას შესთხოვედა.

დავითი ხმას არ იღებდა და შუბლ-შეკრული გამოიყურებოდა.

— შენცა მთხოვ, შვილო, შენცა?!—წამოიძახა მებატონემ, როცა თავის წინ ხელებ-გაწვედილი თავისი ქალი დაინახა.—მერე იცი, რამდენი უდანაშაულოს სისხლი დაუღვრია?.. გასწი სახლში, გასწი!

ფერო გულ-დაწყვეტილი მოშორდა დავითსა. მამის უარპირველად გაიგონა.

— ადექით ზეზე!—უბრძანა დავითმა ყაჩაღებს.—მე თქვენ გაჩუქეთ სიცოცხლე, და ჩემ სიტყვასაც ავასრულებ. თქვენი ბელადისას კი ვერაფერს გეტყვით. მე ვიცი: ეგ ზაზა მორბენალიძეა. მამამაც კი სახლიდან გამოაგდო. ეგ, როგორც წარჩინებულის გვარის შვილი, მეფის სამსჯავროს წინ უნდა წარსდგეს. მე მაგის არც პატიება შემიძლია, არც დასჯა... აბა, გიგი, შენთვის ჩამიბარებია ეს ჩემი ციხე-დარბაზიც, ეს დაქრილიც. ისე უნდა გაუფრთხილდე, როგორც თვალის ჩინსა. მორჩეს თუ არა, ბელადი შეფესთან გამოგზავნე. მე კი დროა გავემგზავრო ჩემის რაზმით და მეფეს ჩავეშველო. თუ ღმერთი გაგვირისხდა და დავმარცხდით, ჩემი ასული მთებს შეაფარე, ჩემს ორბის ციხეში დააბინავე და მამობა გაუწიე.

დავითმა ვაათავა ლაპარაკი და რაზმს ანიშნა სამგზავროდ გამხადებულიყო. მერე ნოიხმო ფერო და თინანო, მისცა უკანასკნელად დარიგება და გამოეთხოვა.

რაზმმა დროშა ააფრიალა და სიმღერა შემოსძახა:

მტერო, სამარეს გაგითხრი,  
შავ მიწას მიგაბარებო!  
მოყვარევ, თვალში გაკოცებ,  
გულის დარღს გაგიქარებო!

— მომყევით!—უბრძანა დავითმა რაზმსა და წინ გაუძღვია.





მალე რაზმი გალავანს გარედ გაჩნდა და ჩქარის ნაძიჯით გზას გაუდგა. მზირავში დარჩენილნი საცქერლად ბურჯზე აცვიდნენ.

მიდიოდა რაზმი და სიმღერა სიმღერაზე იცვლებოდა. ვაჟკაცი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების თქმაში.

„ყვავები დაგვჩხავიანო,  
სამარეს გვემუქრიანო,  
არწივნი თავსა დავესხმით,  
თვითონვე ჩაცვივიანო“.

მოისმა სულ ბოლოს შორიდან და რაზმი სამხრეთით მდებარე ტყეს ამოეფარა.

#### IV

მამის წასვლის მეორე დღეს ფეროს ტახტზე მოეკეცნა და ოქრომკედლით მაცხოვრის პატარა ხატსა გაჩქარებული ჰქარგა: მამისათვის უნდა გაეგზავნა. იქვე თინანო წამოწოლილიყო და თავის გაზრდილის ბედ-იღბალზე ფიქრით მოღლილს ჩასძინებოდა.

ფერო გუშინდელს ამბებს ახლა უკვე უფრო დამშვიდებულით თვალით უცქეროდა და თავის გრძნობებს კბილს უშინჯავდა.

— ნეტავი რად გამოაგდო ზაზა თავისმა მამამ? — გაიფიქრა ქალმა. — მამას ხომ შვილი ძალიან უნდა უყვარდეს. აი მე ხომ ძალიან ვუყვარავარ მამასა. თუ არაფერი დააშავა-რა, განა მამა გამოაგდებდა ისე? არა, ალბად დააშავა... საშინელება რამ ჩაიდინა...

ქალს გულმა კვნესა დაუწყო, საქმეს თავი ანება. თვალწინ ფერწასული დაქრილი ყაჩაღი წარმოუდგა.

— არა, გულიდან უნდა ამოვირეცხო ეს სახე, — წაიხურა ხელა ფერომ და საქმეს ხელი წამოაეღო. — მამის გმობილი... ყაჩალი... არა, არა, ომანიძის ქალს არ შევჭერის!.. თინანო, თინანო! — დაუწყო ღვიძება ქალმა გამზრდელს.

მოხუცმა თვალები გააქუცია.

— რა იყო, გენაცვალე, რა?

— მიამბე რამე, თორემ... სულ გული მიკენესის.

— შენ კი გენაცვალოს შენი თინანო!.. თავს შემოგველოს! მამიშენის შვილს რად უნდა უკენესოდეს გული? ცუდმა ფიქრებმა თუ გაგიტაცეს? დღესვე ელოს ჩემი თავი და ტანი ღმერთმა! ვერა და ვერ იქნა, ველარ დავახწიე ძილს თავი!.. იყო და არა იყო-რა, იყო ერთი მზეთუნახავი, — დაიწყო მოხუცმა. — ბროლის კოშკში ცხოვრობდა, მთელ ქვეყნიერებას შუქსა ჰფენდა. ბევრი ხელმწიფის შვილი თხოულობდა, მაგრამ ყველას ეუბნებოდა: მე ის უნდა შევიერთო ვინც თავისი ბედი თავისი ხელით გამოსქედაო. თქვენ რაცა გაქეთ, სულ მამისაგანა გაქეთო...

აქ გადიაშ ლაპარაკი შესწყვიტა და ისევ ჩაეძინა. ფერო წამოდგა და გარეთ გავიდა.

გალაფანში გიგი დაფუსფუსებდა და მსახურთ უშტიალებდა.

— აი თქვენ კი დაგშამათათ ღმერთმა, თქვენა! ადამიანი ვერას გაგაკეთებინებთ... შე გამოყვეყნებულო, მიუტა კალატოზს ეს ქვა!.. ეჭვი, ეჭვი! რას გაგილია ე პირი? აზილე ჩქარა კირი!

გალაფანის კარებში მოხუცებული მანდილოსანი გამოჩნდა; ხელში პატარა წიგნაკი და ბალახ-ბულახი ეჭირა.

— მოხვედი, ბებერო? — დაუძახა გიგიმ. — სადა ხარ აქამდე? დაქრილი უწამლოდ რად გაუშვი? სულ შენ კისრიდან ამოვიღებ, თუ იმ ყაჩალს შვიდ დღეში ფეხზე არ წამოაყენებ... მეფეს უნდა ჩავვვარო.

— რა ვქნა, გიგი! ბალახები არ უნდა მეშოდნა განა? წამლის გაკეთება აგრე ადვილი კი არ არის, — უპასუხა ექიმმა.

— კარგი, კარგი! ბევრს ნუ ლაპარაკობ: მიხედვე ავადმყოფს.

— გიგი, გიგი! — დაუძახა ფერომ.

გიგიმ ზაფი ანება ყველაფერს და ბატონიშვილთან მიიბრუნა.

— რას მიბრძანებთ?

— რა ამბავში ხარ, რას აკეთებ?

— გალავანს ვამაგრებინებ... ხომ იცი, ბატონიშვილო, სიფრთხილეს თავი არ ასტკივია! იქნება უცხად მტერი შემოგვესიოს... იქნება გასვლა ვერ მოვასწროთ...

— გიგი, მიაშე — ზაზა მორბენალიძე თავისმა მამამ სახლიდან რად გამოაგდო! გეცოდინება.

— როგორ არ ვიცი... ზაზას მამა მამუკა ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, რომ დაქვრივდა. ეგ ერთად-ერთი ვაჟი ჰყავდა. ზაზა მაშინ ოცი, ოცდაერთი წლისა მაინც იქნებოდა. მამუკამ ერთი წელიწადი, როგორც იყო, მოითმინა მეუღლის დაკარგვა, მაგრამ მეორე წელს კი ველარ შეიკავა თავი და მეორე ცოლი მოიყვანა. თვრამეტი წლის ქალწული იყო, ლამაზი... გავიდა რამოდენიმე ხანი და აკი დედინაცვალმა არ უჩივლა მამასთან ზაზასა. შვილი გლალიტობს, ჩემი შეცდენა სწადიანო... გაურისხდა მამა შვილსა და შეუთვალა — გასწი ჩემ სახლიდან, თვალით არ დამენახოვო. ნათესავებმა აღარ მიიღეს. ყველამ ქვა მიაგდო. რომ ბინა ველარსად იშოვა, ყაჩაღებს მიეკედლა... მალე ბელადის სახელი გაითქვა... ერთი მხოლოდ — ჩვენს ბატონს ერიდებოდა, თორემ სხვას არავის ინდობდა. გუშინ დილა ადრიან სულ მოუულოდ-

ნელად წააწყდა ჩვენი რაზმი მთასა და მთის ორ ამხანაგს...  
 ერთი იმას უყურე, ერთი იმას უყურე!—დაიყვირა უცბად  
 გიგამ—ბიჭო, რას ჩადი, რასა, შე ოხერო!—გიგი მოშორდა  
 თავის ბატონის ასულსა და მომუშავეთ მიაშურა.

მარტო დარჩენილი ფერო ისევ სახლში შევიდა. გიგის  
 ნააპობმა მთლად გული გადაუბრუნა, ზაზა შეეზიზლა.

• ინ-ბანი

(შემდეგი იქნება)





# შავ ტყუანეტას შვილობილი

(შემდეგი \*)

XVIII

პატარა შვილობილი

ერთი საათით აღრე სადილობამდის ბატონი და ქალბატონი ეინსვორტები მოვიდნენ, მთელი თავისი ბარგით: სკივრებით, კალათებით, ფილიპეთი და მამა ჟოზეფის „შვილებით,“ და თავის ოთახში წავიდნენ. სახლის მეორე სართულის იმ ოთახებში, სადაც წინად ყოველთვის შვილი და რძალი იდგნენ, ახლა Madame ეინსვორტს პატარა მემკვიდრე მოეთავსებია თავისი მოსამსახურეებით. ეს ცვლილება ქალბატონ ეინსვორტს სრულიადაც არ მოეწონა და კიბეზე ასვლის დროს უკმაყოფილოდ ამოიოხრა. მაგრამ როდესაც ფილიპესათვის დამზადებულ პატარა ოთახში შეიხედა, რომელიც საკუქნაოს უფრო ჰგავდა, მან კმარს გადახედა.

— ესეც საკმაოა იმის გამოსაცნობად, თუ როგორ მიგვიღებენ ჩვენ. მგონია უმჯობესი იქნება ახლავე სასტუმროში დაგზინავდეთ.

— საყვარელო ლიურა, ამას დედა არას დროს არ გვაპატიებდა. უპატივემულობას ყურს ნუ ვათხოვებთ და დედაზე შურს ნუ ვიძიებთ. ფილიპე აქ კარგად მოეწყობა. მე კი ეს ოთახები დაბლა სართულის ოთახებზე ნაკლებ არ მომიწონს.

\*) იხილეთ „ნაკადული“-ს მე-6 და 7 №.

— დედა-შენის და ფილიპეს შეხვედრა მაშინებს — სთქვა ქალბონომა ეინსორტმა, როდესაც სასადილოდ წასასვლელად მოემზადნენ. — თუ ცივად შეხვდა, ფილიპე ერთბაშად იგრძნობს: ის მეტის მეტი მგრძნობიარეა. მიგიქცევია როდისმე ყურადღება, როგორ მოქმედობს მაზე მხიარული ან სამწუხარო ამბავი?

— წინდაწინ ნუ სწუხარ, ჩემო საყვარელო, — ცოლის დასამშვიდებლად ამბობდა ბატონი ეინსვორტი. — თვითონ ბავშვს მიანდე დედის გულისაკენ გზის გაკაფვა. დედა ბავშვს რომ ნახავს, შეიძლება ჩემ ძმას მიამზგავსოს, როცა ის ბავშვი იყო. ფილიპესთან ტყესა და მინდვრებში სეირნობის დროს ამ ზაფხულში ხშირად თავს ისევ ბავშვად ვგრძნობდი, ისე ცოცხლად გადამაფრენდა ხოლმე იმ ყოფილ ბედნიერ ბავშობის ხანაში. ხომ იცი — ჩემი ძმა მისთვის წმინდათა-წმინდა იყო, მე კი — მე ყოველთვის რამეში მტყუანი ვიყავი. — და ბატონმა ეინსვორტმა მწარეთ ამოიოხრა. ძველი უკმაყოფილება თუმც მან დედას აპატია, დავიწყებით კი აქამდის ვერ დავეიწყნა.

ქალბატონი ეინსვორტი სადილის მოლოდინში ერთ თავის უძვირფასეს კაბაში გამოწყობილი და მრავალი სხვა-და-სხვა ძვირფასი სამკაულებით მორთული სასადილო ოთახში მოუთმენლად დადიოდა.

— რაკი ლიუსილ ჩვენთან სადილობს, ის ნაპოვნი ბავშვიც აქ ისადილებს, — გაჯავრებით ფიქრობდა ის, — მე ვერ გაუბედავ ლაურას იმის თქმას, რომ ბავშვა ცალკე უნდა ისადილოს. ის აღბად სრულებით უზრდელია.

როცა ეინსვორტმა ფილიპე სასადილო ოთახში შეიყვანა, დიასახლისამ ერთობ ცივად მიიღო ისინი. მოხუცებული ქალბატონი, შეურაცხყოფილ დედოფალივით, სეარძელში ღრმად ჩამჯდარიყო; იმისი სახე მქისედ გამოიყურებოდა და თვალები ფოლადის ნემსებივით უბრქუვინავდა. მან თავის შვილს აკოცინა, რძალს საკოცნელად ლოყა მიუშვირა და ცივად წარმოსთქვა:

— როგორ ცხოვრობთ, ლაურა?  
 ბატონი ეინსვორტი მთლათ აინთო და აკანკალებული ხმით წარმოსთქვა:

— აი, დედა, ჩვენი აყვანილი შვილი, მეორე ფილიპე. იმედი მაქვს შეიყვარებთ. საყვარელო ბიჭიკო, ეს დედა-ჩემია; მე დარწმუნებული ვარ—შენ ისე შეიყვარებ, როგორც ჩვენ გიყვარვართ.

ფილიპე იმ წამსვე სიამოვნებით გაპქანდა წინ და დისახ-ლისას აღერსიანი ღიმილით ხელი გაუწოდა. ქალბატონმა დისახლისამ თვალვებთან ლორწეტი მიიტანა, ბავშვი მქისედა და გულდასმით დაათვალიერა, თითების წვერები გაუწოდა და მკვახედ წარმოსთქვა:

— მაშ ეს თქვენი ოჯახის ახალი წევრია? სად არის ის მზგავსება, რომლითაც ყურები გამომიქედეთ? ეს ძლიერ შავგვრემანია, ჩემი შვილის შვილი კი თეთრ-ყირმიზი იყო.

ფილიპემ გველ-ნაკბენივით მსწრაფლ უკან დაიხია. მოხუცებულ ქალბატონში მან მტერი იგრძნო. ამ ამბავმა ძლიერ გააკვირა და შეაწუხა და მღელვარებისაგან ტუჩებმა კანკალი დაუწყო.

ქალბატონმა ეინსვორტმა სიყვარულით მოხვია ბავშვს ხელი და უთხრა:

— წაეიდეთ, საყვარელო! სანამ მამა-შენი თავის დედას ელაპარაკება, ჩვენ ნახატები დავათვალიეროთ.—აი,—განაგრძო მან აფიკრის ტანისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი კაცის სურათის წინ,—ეს ჩხუბში მოკლული მამა-შენის ძმაა. მამა ამბობს, რომ შენ ჰგვებარ იპას. სანამ შენ განახავდი, მამას ბევრი ულაპარაკნია ჩემთვის ამის შესახებ.

ექვსი თვის განმავლობაში, როცა ტუნეტას ფილიპე ეინსვორტის ფილიპედ გადაიქცა, ბავშვი ძლიერ გამოიცივალა. გამოვლილი მწუხარება, ახალი ცხოვრება, ახალ ადამიანთა შეჩვევა და დამოკიდებულება ისე ძნელი ასატანი შეიქნა, რომ

მისი სახის ბავშვური სიმრგვალე სრულებით გაჰქრა; სახე დაუგრძელდა, გახდა, და დიდი ხნის მთებში ყოფნის გამო ლო-



ყები გაუშავდა. ყველა ამის გამო მის სახემ უფრო მოწიფული შეხედულობა მიიღო. ახლა ის ლამაზი, გაბედული ბავშვი იყო, ზოგჯერ მორცხვი, მაგრამ ყოველთვის ტურფა და ზრდილობიანი.

იმის თქმა, რომ ფილიბეს არასოდეს არ დაჰნანებია თავისი უწინდელი ცხოვრებაო, ტყუილი იქნებოდა. ზოგჯერ ამ საარაკო ზაფხულის განმავლობაში მას სევდა ეუფლებოდა და დაღონებული იგონებდა თავის დედილოს და მათ ძველ ბაღს, ენატრებოდა დეა, სელინა და ლილიბელიც. ხანდისხან მისი საყვარელი მაიორის ნახვა და მომღერალის ტკბილი გალობაც სწყუროდა. ძლიერ ხშირად ეჩვენებოდა, თითქოს მომღერალის ნაზი კიკიკი ესმის. მაშინ ის სადმე განმარტობულ ხის ძირას წვებოდა და სტიროდა. ამგვარ წამებში



ბავშვს ყოველთვის მამა ეოზეფის „შვილები“ ანუ გვეზბდნენ ხოლმე.

— ჩვენ მალე დავბრუნდებით სახლში, — რწმენით ეუბნებოდა იმათ ბავშვი. — მამა ეოზეფი მოვა. დადგება გაზაფხული, და ჩვენ ხელახლა დავსტკებებით იასამანის და ზეთისხილის საუცხოო სუნით! — მაგრამ შვილებს გარდა სხვას არავის არ უმხელდა ის თავის იმედს და საჩივარს; ის ყოველთვის მხიარული და რაიმე საქმეში გართული იყო.

ქალბატონი ეინსვორტი და ფილიპე ჯერ კიდევ სურათებს ათვლიერებდნენ, როცა ოთახში პატარა მემკვიდრე შემოვიდა, თავისი გადიით. ფილიპემ შეხედა გოგოს და შობის წინა დღეს მალაზიაში ნახული დიდი ტიკინა მოაგონდა. გოგო ძვირფასი არწივებით მორთულ მშვენიერ თეთრ აბრეშუმის კაბაში იყო გამოწყობილი. იმასაც ტიკინასავით ცისფერი აბრეშუმის წინდები და მშვენიერი პატარა ფეხსაცმელები ეცვა. ერთ ხელში თაიგული ეჭირა და ბიძია-ბიძოლას მიმართ თავაზიანი სალაშის შემდეგ ფილიპესთან მივიდა, ბებია-სავით თითების წვერები გაუწოდა და უთხრა:

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით? ძლიერ სასიამოვნოა თქვენი ნახვა!

შემდეგ ის მოშორდა და ცოტა მოშორებით ისევ თავიდან ფეხებამდის დაათვალიერა.

მთელმა ამ სანახაობამ სრულებით არ ააშფოთა ფილიპე, პირიქით — კიდევ გააცინა. წარმოუდგა, თითქო დიდი ტიკინა მალაზიის ფანჯრიდან ჩამოვიდა და „როგორ მშვიდობით ბრძანდებით“ — ო დაიწროპინა. ფილიპემ მხიარულად დაუწყო პატარა მემკვიდრეს ლაპარაკი, სანამ დიასახლისამ ისინი სუფრის სხვა-და-სხვა კუთხეში არ დასვა.

ფილიპეს სიცილიდაც არ ჰყოფნიდა, რომ პატარა ქალის გვერდით მჯდომი ლამაზი, თავმოწონე ქალი ასე მოკრძალებით ეპყრობა მას, რომ მის უკან ელენე სდგას, მოახლის თე-

თრი ქული რომ ხურავს და წარმოსადგეი სახლთ-ხუცესი ც  
ასე მორჩილებით იხრება პატარა ქალის წინაშე.

ქალბატონი და ბატონი ეინსვორტები მთელ ზაფხულში  
დიდკაცურ სასტუმროებში ცხოვრობდნენ და ფილიპე შეე-  
ჩვია მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებას და ყოველგვარ თა-  
ვაზიანობას, მაგრამ მას ამ სადილის მზგავსი არასოდეს არა-  
ფერი არ უნახავს. ის ქამას ძლივს ასწრებდა. როდესაც  
სახლთხუცესი თეფშებს უცვლიდა, ხმა-მალა მადლობას უბ-  
დიდა და ვალიმებული უცქეროდა, როგორც თავის ძველ  
მეგობარს; სახლთხუცესიც სკდილობდა სახის დიხჯი გა-  
მომეტყველება არ შეეცვალა. თავისთვის კი ფიქრობდა:  
„საუცხოო ბავშვია, ვერ ვაგებედავ, თორემ გაუცინებდიო!“  
ფილიპე ისედაც გრძნობდა რაღაც სიახლოვეს მათ შორის.  
სახლთხუცესი ისე მოეწონა, რომ თანაგრძნობის გამოსა-  
ხატავად თეფშების აღაგებაში დაეხმარა, მაგრამ დიასახლისამ  
სასტიკი თვალთ შეხედა მას, ლიუსილის გვერდით მჯდომი  
ლამაზი ქალი დაიღრვიჯა და მისმა დედ-მამამაც უკმაყოფი-  
ლება გამოხატეს. ფილიპეს უნდოდა მხოლოდ ადამიანისთვის  
ესიამოვნებინა, მაგრამ შეიძლება ეს შეუფერებელი იყო ასეთ  
დიად სადილზე! ნუ თუ ყოველ დღე ასე სადილობენ, — ფიქ-  
რობდა ის. — უთუოდ ძალიან იღლებს სახლთხუცესი ამდენ  
თეფშის გამოცვლაში. მას ძლიერ გაუხარდა, როდესაც სადი-  
ლი გათავდა და ისინი ისევ სასტუმრო ოთახში გავიდნენ.  
გაახსენდა ოთახში დატოვებული „შვილები“ და გაიფიქრა, —  
ისურვებს თუ არა ეს წითელ-თმიანი გოგო ჩვენს ნახვასაო.  
თუმცა ის მთლად ტიკინას ჰგავდა, ფილიპე მაინც დააწმუ-  
ნებული იყო, რომ გოგოს მამა ყოზეფის „შვილები“ მოე-  
წონებოდა. ამიტომ როდესაც მოზრდილებმა ბატონ ეინსვორ-  
ტის სურათებს დაუწყეს თვალთვლება, მივიდა ლიუსილთან და  
ჰკითხა:

— ხომ არ გინდა მამა ყოზეფის „შვილების“ ნახვა?

— შვილებისა!— დაიძახა ლიუსილმა, თავი ამაყად მალლა აიღო და დაკვირვებით შეხედა:— სად არიან?

— ჩემ ოთახში, გალიაში.

— გალიაშიო! ეს რას ნიშნავს? ვინ არის გალიაში?

— პატარა თეთრი თავგები, საყვარელი თავგები.

— თავგები, პატარა თავგები! აი, აი!— და მან გულსაკლავად დაიკივლა და თავისი ცისფერი ფეხები სკამზე მოიკეცა.— თავგები! აი, აი, სად არიან, სადა?

— რა ამბავია, ძვირფასო! რამ შეგაშინა? როგორ გაფითრდი? ჩქარა Mademoiselle, ჩქარა მოიტანეთ ჩემ საპირფარეშოდან ძმარი!— დაიძახა ღიასახლისამ.

— ოი, ბები, ის ამბობს— ოთახში მყავსო. იფიქრეთ— თავგები ოთახში! აქ უნდა მოიტანოს. არ მისცეთ ნება!

— არა, არა, ჩემო ძვირფასო, ნუ გეშინია, არ მოიტანს! ეღუარდ, წაიყვანე აქედან ეს ბავშვი. იმან საშინლად შეაშინა ლიუსილი. ჩქარა წაიყვანე!

ბატონი და ქალბატონი ეინსვორტები სიცილოს ძლივს იკავებდნენ. ფილიპე კი ვერ მიმხვდარყო— რა მოხდა, რისთვის მიჰყავდათ ასე აჩქარებით ოთახადან.

## XIX

### „ქვაზიმოდო“— ამოცანის ახსნა.

როცა ნიუ-იორკში დაბრუნდა, რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი ეინსვორტი აკადემიაში წარსადგენად ნახატის ხატვაში იყო გართული. ამ ნახატის საგანი— ფილიპე და დეა იყვნენ. ისინი ცოცხლად იდგნენ სურათზე და ძლიერ მშვენიერები იყვნენ.

ეს სურათი ყველა მის სურათებს ერჩივნა; ამიტომ ძლიერ უნდოდა მკოდნე კაცის აზრი მოესმინა. უცერად გაიღო კარები და ოთახში ის აღამიანი შემოვიდა, ვისი ნახვაც მას



ყველაზე უფრო სურდა. ეს იყო მალალი, შავგრემიანი კაცი, უცხოელის ტიპისა, ძალიან უცხო კილოზე მოლაპარაკე.

სავარძელში მჯდომი ბატონი ეინსვორტი შემოტრიალდა და ხატვისაგან თავისუფალი ხელი გრძნობით გაუწოდა სტუმარს.

— ოჰ, დეტროვა, თქვენა ხართ? ჩემთვის ყველაზე უფრო სასურველი სტუმარი. დაბრძანდით და მითხარით—აბა ამაზე რას ფიქრობთ!

— ვნახოთ, ვნახოთ, ჩემო მეგობარო! კარგი რამ არის, როგორც ვხედავ!

სტუმარმა ქუდი და ქალღლები მაგიდაზე დასდო, მხატვარის მხრებზე გადინებოდა და ნახატს დააკვირდა.

— სამაგალითოა, მეგობარო, სამაგალითო!—გრძნობით სთქვა მან.—შემოქმედების სივრცე და რამდენი გრძნობაა გამოხატული! როგორ ბუნებრივად დგანან და როგორი ნაზი, ლამაზი და ძლიერი ფერებია. საუცხოო ბავშვებია! მართლა ასე მხატვრულნი არიან? სად გამოჩნრიკეთ ისინი?

— მხატვრების ელდორადოში, ახალ ორლენში.

— თქვენ, მგონია, იქ მთელი ზამთარი გაატარეთ?

— დიახ, მე იქ ერთი თვით წავედი და ნახევარი წელიწადი კი დავრჩი.

— ისე მოგეწონათ იქაურობა?

— ძალიან უცნაური ქალაქია, მძინარე და მოწყენილი, მაგრამ სურათებით საესეა და მხატვრისათვის საუცხოო მასალაა.

— დიდი ხანია ვემზადები იქ წასასვლელად. მე იქ საქმეც მაქვს. ახალ ორლენში მამულიცა მაქვს. დიდი ხნის წინად იქ ერთი ჩემი ნათესავი გადასახლდა და ძლიერ გამდიდრდა, მაგრამ მისი ქონების უმეტესი ნაწილი ომის დროს დაჰკარგა. მას მემკვიდრე არ დაუტოვებია და ყველაფერი მე დამრჩა. ვერ იქნა—მამული ვერ გავყიდე, და ახლა შრომა მეტი მაქვს

იქ, ვინემ შემოსავალი. მაინც მინდა როდისმე ვნახო ის ადგილი.

— შენს ალაგას მე დიდი ხანია მოვივლიდი იქაურობას,—უბასუხა ბატონმა ეინსვორტმა.—ახალი ორღეანი ძლიერ მოგეწონება. ეს მხატვართ ედემია, ჩრდილოეთის ჩარჩულ ქალაქებთან შედარებით.

— შენ თვითონ რა იპოვე ღირს-შესანიშნავი ამ ედემში? ამბობენ, რომ იქ თითო საოცრებას ყველა პოულობსო!

— იქ მართლაც ბევრია ღირს-შესანიშნავი ძველებური ფრანგული და ისპანიური ნივთები. შე იქიდან ეს კამოდი და სავარძელი ჩამოვიტანე. საოცარია—არა? მაგრამ რაც ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია—ეს იშვიათი ქანდაკების ნიმუში.

ბატონმა ეინსვორტმა სწრაფად ჩამოიღო შკაფიდან ქვაზიმოდო და სტუმრის წინ მაგიდაზე დასდგა.

— აბა ამაზე რას იტყვი?—იკითხა სიამოვნებით გაბრწყინებულმა ეინსვორტმა.

ბატონი დეტროვა რამდენსამე წუთს ჩუმად უცქეროდა ქანდაკებას. შემდეგ ყრუდ წარმოსთქვა:

— მე მყავდა ძმა, რომელიც ამგვარ ნივთებს საკვირველი ხელოვნებით აკეთებდა. ეს იმის მუშაობას მაგონებს.—და მან ქვზიმოდო ხელში აიღო, რათა უფრო კარგა დაეთვალიერებია. ქანდაკების ერთ ალაგას პატარ-პატარა ასოებით წარწერა შენიშნა: „ვიქტორ ჰიუგომ გააკეთა“.

— რა უცნაურია: ვიქტორ ჰიუგო—ჩემი ძმის სახელია. ეს ვინ გააკეთა?

— პატარა ბავშვის მამამ.—და მხატვარმა ნახატზე ხელის მითითებით დეა აჩვენა. ბავშვი ქანდაკებებს ქუჩაში ჰყიდდა და მე ვიყიდე მისგან ქვაზიმოდო. რაც გავიგე—ძლიერ სამწუხარო ამბავია. მოქანდაკე ავადმყოფი და ღარიბია, ძლიერ ღარიბი. მე მისგან ბევრი მისი ნაწარმოები ვიყიდე—ყველა ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების გმირებია. გოგოს—დეას ეძა-

ხიან. იმათ ბებერ ძაღლს — ჰომოს, როგორც ვიქტორ-ჰიუგოს ნაწარმოებშია.

— გამიგონეთ, ელუარდ, — ღრმა ჩაფიქრების შემდეგ წარმოსთქვა ბატონმა დეტროვამ. — მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქანდაკების გამკეთებელი მხატვარი ჩემი ძმა ვიქტორია. უკვე რვა წელიწადია, რაც მე იმას დავეძებ. დედაჩემი სახელოვანი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების დიდი თაყვანისმცემელი იყო და მისი სურვილის თანახმად ძმას სახელად ვიქტორ ჰიუგო უწოდეს. ძმას უცნაური ხასიათი ჰქონდა, ოცნებას იყო ჩვეული, და ბავშვობიდანვე ცხადად დაეტყო იშვიათი მხატვრული ნიჭი. მამამ ბევრი ეცადა, რომ ბავშვი მოქანდაკე გამხდარიყო, მაგრამ ის დიდების მოყვარე არ იყო. როცა ოცდაერთი წლისა შეიქნა, ჩემი დის გამდელი შეირთო. თქვენ წარმოიდგინეთ ერთის მხრით შეურაცხყოფილი მშობლები, მეორე მხრით კი სიამაყე და უცვლელი გადაწყვეტილება.

ის არავის არ გამოსთხოვებია და ერთ მშვენიერ დღეს თავისი ცოლით ამერიკაში წავიდა. იმ დღიდან ჩვენ მისი არაფერი ვიცით. მამა მოღობა კიდევ, ეძება, მაგრამ — უნაყოფოდ. ნიუ-იორკში ჩამოსვლის შემდეგ მეც ბევრი ფული და დრო დავხარჯე მის ძებნაში, და მხოლოდ ახლა მივაგენი პირველ კვალს. — ამ სიტყვებით მან ქვაზიმოდოს შეხედა: — შეიძლება ამან რამე გამაგებინოსო.

— ეს ალბად აგრეა, — უპასუხა ბატონმა ეინსვორტმა. — ცვილზე მოქანდაკე საფრანგეთიდან მოსულა რვა წლის წინად. გოგონას დედის პატივისცემისათვის დეა დაარქვეს; მხატვარს ვიქტორ ჰიუგოს უწოდებენ; გვარს ალბად არ ამბობს. მე დარწმუნებული ვარ, აქ საეჭვო არა არის-რა, რომ ის თქვენი ძმაა.

— თქვენ ამბობთ ის ლატაკი და ავადმყოფიაო? მე კი ასე მდიდარი ვარ! საჩქაროდ უნდა წავიდე და მოვძებნო!

შეგიძლია მასწავლო, როგორ და სად უნდა მივაგნო ახალ ორღეანში?

— ის ვიღერეს ქუჩაზე სცხოვრობს; სახლის ნომერი არ ვიცი, მაგრამ ისე გასწავლი, როგორ უნდა მივაგნო, — უბასუბა ბატონმა ეინსვორტმა, — და სტუმარს სელინას ბინა ასწავლა.

ჩაიწერა თუ არა ყველა ცნობები ღეტროვამ, ბატონ ეინსვორტს გამოემშვიდობა.

— ვერ მოვისვენებ, სანამ მართალს არ გავიგებ. მაშ მშვიდობით, მეგობარო. იმ თქვენ ედემს უფრო ჩქარა ვნახავ, ვინემ მოველოდი. დარწმუნებული ვარ, ჩემი მგზავრობა ფუჟად არ ჩაივლის.

## XX

### უნებური დანაშაული

Madame ეინსვორტთან რამდენჯერმე მოლაპარაკების შემდეგ ფილიპეს ლიუსილთან ერთად ცეკვის გაკვეთილებზე სიარულის ნება მისცეს. და აი ერთხელ პატარა მემკვიდრე გაკვეთილებიდან ძლიერ ცუდ გუნებაზე დაბრუნდა, თუმც გამდელმა ბევრი ელაპარაკა, რომ კარგათ აღზრდილ ადამიანს არასდროს არ უნდა დაეტყოს, რომ რითიმე ნაწყენია, რითაც უნდა იყოს ეს წყენა გამოწვეული.

— ჩემდა უნებურად მომდის, — უთხრა მან გამდელს.

ლიუსილი პირდაპირ ბებიასთან გაეშურა.

Madame ეინსვორტი რაღაცას სწერდა, მაგრამ მაშინვე კალამი ხელიდან გააგდო და თვალები პატარა მემკვიდრის გაჯავრებულ, ცეცხლ-მოკიდებულ სახეს მიაპყრო.

— რა იყო, ჩემო ძვირფასო? — ჰკითხა მან: — რა მოხდა?

— ყველაფერი იმ აუტანელი ლაწირაკის ბრალია! მეტი მოთმენა აღარ შემიძლია.

— რისთვის? რა მოგივიდა? გაწყენინა რამე?

— არა, არა. მაგრამ საშინელი სისულელე ჩაიდინა! მოჰყვა და ყველაფერი თავისთავზე გლედის ბლიკერს უამბო; საშინლად შეურაცხყო; მე შემრცხვა მის მაგიერ, ისე დამამცირა, და ისიც გლედის ბლიკერთან!

— იმისთანა რა ჩაიდინა, საყვარელო? რა სთქვა?—*Madame* ეინსვორტის ხმას გაბრაზება დაეტყო.

— მე და გლედისი ერთად ვიდექით კოტილიონის მოლოდინში. ამ დროს ფილიპე მოვიდა. მგე ისეთი სისულელე მომივიდა, რომ ლედის წარუდგინე, როგორც ჩემი ბიძაშვილი! არა, წარმოიდგინეთ ახლა ჩემი ბიძაშვილი! მოსვლის ხანს ისეთი მშვენიერი იყო, რომ მე სასირცხოდ არ მიმაჩნდა ის ჩემ ნათესავად გამეცნო. გლედისს ხელში იის თაიგული ეჭირა. ნახვისათნავე ფილიპემ ყვავილები გამოართვა და ისენაირად დაუწყო ცქერა, თითქოს შექმას უპირებსო. შემდეგ ყველას გასაგონად სთქვა:

— როგორ მიყვარს ია! მე კალათებით ვყიდდი ახალ ორლენში!

— რა გინდათ სთქვათ?—ჰკითხა გლედისმა. — თქვენ ჰყიდით იასა? ალბათ ხუმრობთ!..

— არა, მე არა ვხუმრობ, — უპასუხა მან. — ვყიდდი მთავრის ქუჩაზე და ჩემ დედილოსთვის ბევრ ფულებს ვშოულობდი.

გლედისმა ერთი დაიფრუტუნა და დაცინვით შემომხედა. მე ასე მეგონა, — გული წამივიდოდა.

— ეს მართლა საზარელია, ჩემო ძვირფასო, — სთქვა გაბრაზებულმა *Madame* ეინსვორტმა. — მაგრამ შეიძლება გლედისმა ხუმრობად ჩასთვალა.

— არა, არა, ბები, მე დარწმუნებული ვარ, რომ მან ეს დაიჯერა. მე ისე მეწყინა, რომ ვაკვეთილის ბოლომდის მოცდა ველარ შეეძელ და *Mademoiselle*-ს ესთხოვე მაშინვე სახლში წამოვსულიყავით. მეტი აღარ შემიძლია ასეთ უზრდელ ბავშვთან სიარული.





— შეტი არც დაგვირდება, ჩემო ძვირფასო! შე მოველაპარაკები შენს ბიკოლას... იმას შენთან სიარულის ნებას აღარ მისცემენ; იმ ბავშვმა შენ აღარ უნდა შეგაწუხოს.

Madame ეინსვორტსა და რძლის შორის მომხდარი უსიამოვნო ლაპარაკის შემდეგ ფილიპეს ცეკვის გაკვეთილებზე სიარული აუკრძალეს.

— სასტიკად უნდა დასაჯო ლაურა, — ეუბნებოდა Madame ეინსვორტი. — მას ლიუსილისათვის არ უნდა ეწყენინებია, საბრალო გოგონა კინალამ ავად გახდა. უსათუოდ უნდა დასაჯოთ.

— როგორ შემიძლია დასჯა იმისთვის, რომ სიმართლე სთქვა? — ამართლებდა ბავშვს ქალბატონი ეინსვორტი. — მან არ იცოდა, რომ მართლის თქმა სირცხვილია.

— უნდა ჩავაგონოთ, რომ ყოველთვის არ შეიძლება სიმართლის ლაპარაკი, — უპასუხა გაჯავრებულმა Madame ეინსვორტმა.

— შე არ შემიძლია ეს ჩავაგონო! მისი საუკეთესო ღირსება სიმართლის სიყვარულია. შემიძლია ცეკვის გაკვეთილზე სიარული აუკრძალო, მაგრამ სიმართლისათვის დასჯა არ შემიძლია.

## XVI

### საბრალო ტიკინას გული უღონდება

ზამთარი გათავდა და გაზაფხული დაიწყო. ფილიპეს სახლი მოენატრა. ბატონი ეინსვორტი ამბობდა, მარტში სამხრეთში წავალთო. ფილიპე დღეებს სთვლიდა, თუ როდის დადგებოდა ეს ერთ ღროს სუსხიანი, ახლა კი თბილი, მზიანი თვე.

ერთხელ ხატვის გაკვეთილზე, — ფილიპე ზამთრის დაწყებ ბიდანვე ხატვაში შეცადინებდა და ნიჭიც გამოიჩინა რითაც

ძალიან გაახარა ბატონი ეინსვორტი, — ფილიპემ უკცრად ხატვის თავი დაანება და შეწუხებული ხმით

— ჩვენ ჩქარა წავალთ, მამა? უკვე მარტია. თქვენ აბობდით, რომ მარტში წავალთო.

— განა აქ არ მოგწონს, ფილიპე? აქ კარგია. მე არ მინდა წავიდე აქედან, სანამ ეს მშვენიერი დღეები სდგას.

— კარგი, მაგრამ მამა ჟოზეფის დაბრუნების დროა, და მისი დაბრუნების დროს კი მე შინ უნდა ვიყვე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე მისი „შვილები“ მყავს და უნდა დაუბრუნო. ისინი მხოლოდ მის დაბრუნებამდის დამიტოვა და დავგიანება კარგი არ არის. და მასთან კიდევ სხვა რამეც უნდა გამოგვითხო.

— რა უნდა გამოჰკითხო?

— ჩემი დედ-მამის ამბავი. დედილო მეუბნებოდა—ყველაფერს ის გეტყვისო; ჩემი ქალაღლებიც იმას აქვს შენახულიო.

— მართლა? დედილომ ვითბრა? — გაიკვირვა ბატონმა ეინსვორტმა. — რატომ ეს წინად არ მითხარი?

— არ მიფიქრია, მამა. ან რა საჭირო იყო, როდესაც ის წავიდა. მაგრამ ახლა თუ დაბრუნებულა, საშინლად მინდა მისი ნახვა და გამოკითხვა.

— მისი ნახვა მეც მინდა, ჩემო საყვარელო. მე მიესწერ წა მარიამის ეკლესიის ღვდელს. მგონი მამა მარტინია? ის შეგვატყობინებს—დაბრუნდა მამა ჟოზეფი თუ არა და სად უნდა გაიგზავნოს მის სახელზე წერილი.

— მამა მარტინმა ეს უნდა იცოდეს, — მოუთმენლად სთქვა ბავშვმა. — არ შეიძლება მას დეაზეც შევეკითხოთ? ვფიქრობ, რომ აქამდის მას ფული გამოეღეოდა და ქანდაკებას ვერ ჰყიდის. უნდა დავბრუნდე და დავეხმარო.

— ჩემო საყვარელო, მე დეას შესახებ სასიამოვნო ამბები მაქვს შენთვის სათქმელი, — ღიმილით უთხრა აღელვებულ ბავშვს ბატონმა ეინსვორტმა. — მინდოდა, რომ დედა-შენს გადმოეცა შენთვის ეს ამბავი. — ის ისე ბედნიერია, როდესაც შენ რამე სასიამოვნოს გეტყვის ხოლმე; მაგრამ მრცხვენია, რომ ამდენ ხანს გალოდინებ. დილით ბატონ დეტროვის წერილი მივიღე. ხომ გახსოვს, ჩემ მეგობარზე რომ გელაპარაკე? ის ახალ ორლენში წავიდა, რადგანაც დეას მამა მიიჩნია თავის დაკარგულ ძმად, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა. მართალიც გამოდგა. ახლა დეა უზრუნველყოფილია; ბიძას ძლიერ შეუყვარდა ბატონა ძმის შვილი.

ამ ლაპარაკის დროს ფილიპეს სახეზე გაოცება და სიხარული იხატებოდა.

— რა მიხარია, რომ დეას მზრუნველი გაუჩნდა, — დაიძახა ფილიპემ. — ის ახლა მშვიერი აღარ იქნება. საბრალო! შეიძლება მამასაც უყიდოს მისი სანატრელი წიგნი. რა ბედნიერია აღბად ახლა! ოჰ, როგორ მინდა მალე მისი ნახვა, რომ გადავსცე, თუ როგორ მიხარია მისი ბედნიერება.

— ჩქარა ნახავ, ჩემო საყვარელო. თუ მამა ეოზეფი დაბრუნებულა, ჩვენ ერთ-ორ კვირის შემდეგ სამხრეთს წავალთ.

ფილიპე ძლიერ აღელდა. თავის ძველ სახლში უნდა დაბრუნდეს, დეა და მამა ეოზეფი უნდა ნახოს... მარტო ამაზე ფიქრიც უსაზღვრო ბედნიერება იყო მისთვის. ის იცინოდა, შეუწყვეტლად ლაპარაკობდა და ისე აღელვებული იყო სასიამოვნო ამბების გამო, რომ მეცადინეობას ძლივს ახერხებდა.

უკანასკნელ დროს ის თავს უხერხულად გრძობდა. Madame ეინსვორტი ცეკვის გაკვეთილზე მომხდარ უსიამოვნობის შემდეგ ძლიერ სასტიკად ეპყრობოდა და ლიუსილიც ისეთი ზიზღით უტკეროდა მას, რომ ფილიპე მიხვდა, რომ მან

დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. მაგრამ ახლა ამისთვის თავის შეწყუბება საკირო ალარ იყო; ის ჩქარა მოშორდება იმათ, თავის სახლში წაეა!

„საკიროც არ არის!—ფიქრობდა ის.—ის მე აქას დროს არ შემეყვარებს; თავის ძაღლზე უარესად შეპყრობა.“

ერთხელ, როდესაც პატარა ქალი სეირნობიდან ცუდ გუნებაზე დაბრუნდა, ფილიპე სახლთხუცესის ოთახში გაღებულ კარის უკან იჯდა. უეცრად დარბაზში გულსაკლავი წივილ-კივილი გაისმა. გადია სავარძელზე იდგა მალლა აწეული კაბით; ლიუსილი კი მაგიდაზე ასვლას ცდილობდა. თმა დაშლოდა, ქული ზურგზე ჩამოვარდნოდა; შიშისაგან თვალებს შეშლილივით ატრიალებდა და საშინლად გაჰკიოდა. ყველაზე უფრო გაბედული ელენე გამოდგა, რომელიც ოთახის მეორე კუთხისაკენ იატაკზე მკურავე რაღაც საგანს მისდევდა. ის სცდილობდა როგორმე ამ საგნისთვის ქოლგა დაეკრა, მაგრამ ვერ მოასწრო და პატარა საგანიც სახლთხუცესის ოთახის ახლოს იატაკის ნახვრეტში ჩაძვრა.

— რა იყო, რა ამბავია? ძვირფასო ლიუსილი, იტკინე რამე?..— იძახოდა კიბიდან Madame ეინსვორტი.

— ვაი, თავგები, თეთრი თავგები!— წრიპინებდა პატარა ქალი.— ზალაში არიან, იატაკზე დარბიან. ვაი, ვაი, შეშინია!

— თავგები, ყველგან პატარა თავგემი, — ჰყვიროდა გამდელი და კაბას უფრო ზევით-ზევით სწევდა.

— საღ?.. აი საღ არიან!? მაგიდის ფეხებზე მიცოცავენ. — წრიპინებდა ლიუსილი.

— სკამს ქვეშ ხომ არ არიან? — კრუსუნებდა გამდელი.

— გაიქცნენ, — გამარჯვებული სახით განაცხადა მოახლემ და ქოლგა გაიჭნია. — სახლთხუცესის ოთახში გაიქცნენ.

— დაბურეთ ჩქარა კარები, რომ ისევ არ შემოძვრენ, — ბრძანა Madame ეინსვორტი, ლიუსილითან მოიბრძინა და გულში ჩაიკრა. — ჩემო ძვირფასო, ჩემო პატარავ! აჰ, გული უღონ-

დგბა. გაიქცეთ, და ძმარი მოიტანეთ. ჩქარა, ჩქარა! —  
 ცით წყალი! — ჰყვიროდა მოხუცი ქალბატონი, იმ დროს;  
 როცა მის ხელებზე გულ-წასული ლიუსილი დაეცა.

ასტყდა ერთი ალიაქოთი. პატარა ქალი ტახტზე დააწვი-  
 ნეს და ექიმთან კაცი აფრინეს.



— ვაი, თავგება, თეთრა თავგება!

ფილიპე, რომელსაც არც კი დასიზმრებია მისი პატარა  
 კომედლის ამგვარი ბოლო, თავს დიდ დამნაშავედ გრძნობდა,

როდესაც რაღაც თეთრ საგანს შავ ძაფს სწყვეტდა და აქვარებით ჯიბეში იღებდა. ლიუსილის ამგვარ მწუხარებისაგან საშინლად შეშინებული თავის ოთახში გაიქცა და ლოგინზე მივიდა.

როდესაც ლიუსილი გონს მოვიდა, ოთახში დინჯად სახლთხუცესი ბასეტი შემოვიდა და წყნარად იკითხა—რა მოხდაო.

— ისინი შენს ოთახში გაიქცნენ,—სასტიკი კილოთი უპასუხა ტახტის წინ მუხლებზე მდგომმა Madame ენსვორტმა, რომელიც ბავშვს ხელებს უსრესდა.

— ვინ Madame? ვინ გაიქცნენ ჩემს ოთახში?—შეეკითხა განცვიფრებული ბასეტი.

— როგორ ვინ? თავგები! ელენემ ნახა, როგორ გაიქცნენ შენს ოთახში. შენ კი უნდა გენახა ისინი.

— მე არაფერი არ მინახავს ჩემს ოთახში. მე ახლა იქიდან მოვდივარ. უკაცრავად. Madame, აქ რაღაც გაუგებრობაა.

— რაო!? თქვენ გინდათ სთქვათ, რომ აქ არ იყვნენ თეთრი თავგები, არ იყო ის ბავშვი, რომელმაც ისინი ზალაში შეუშვა ქალბატონ ვან ნარკომის შესაშინებლად.

— ღმერთმა დამიფაროს! არა, Madame, მაგრამ ბატონ ფილიპეს თეთრი თავგები ჩემს ოთახში არას დროს არ ყოფილან.

— მე ვნახე ისინი. დარწმუნებული ვარ, რომ ერთი ვნახე; შეიძლება მეტი არც კი იყო,—ჩაერია ელენე ცეცხლივით ანთებული თვალებით.

— მე ვნახე: ყველანი იატაკზე დაცოცავდნენ,—განაცხადა გამძელმა.

— მე ვნახე, როგორ მოცოცავდნენ მაგიდის ფეხებზე,—დაიწრიპინა ლიუსილმა.

— თქვენის ბრძანებით ვბედავთ მოგახსენოთ, Madame,



რომ ფილიპე თავის პატარა ცხოველებს გალიიდან არას დროს არ უშვებს.

— როგორ ჰხვდება ამის თქმას, ბასეტ? ნუ თუ პატარა ქალბატონმა ვან-ნარკომმა და სხვებმა ყველა ეს მოიგონეს? — სასტიკად დაუყვირა Madame ეინსვორტმა.

— არას დროს, ქალბატონო. თქვენის ბრძანებით, შეიძლება მოჩვენებას რომ ეძახიან — ის იყო, — თავდაბლად უპასუხა მოხუცმა სახლთბუცესმა.

— ყველა ეს იმ ლაწირაკის უგვანო საქციელია. ამის ატანა შეუძლებელია.

— მომცემთ ნებას, ქალბატონო, ბატონ ფილიპეს ოთახში წავიდე? თუ მხეცები გალიაში არ არიან, მაშინ დავრწმუნდები, რომ ისინი ჩემს ოთახში იყვნენ.

ამ სიტყვებით ბასეტმა თავი დაუკრა და ისევე წყნარად გამოვიდა ოთახიდან, როგორც შემოვიდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ გახარებული სახით ისევ დაბრუნდა.

— ყველაფერი ისტა, როგორც მე მოველოდი, ქალბატონო! ჩახუტებულ ცხოველებს მაგრად სძინავთ. ბატონი ფილიპე კი ზის და ლათინურს მეცადინეობს.

— ეს მართლა ძლიერ საოცარია, — სთქვა Madame ეინსვორტმა. მე მაინც არ მჯერა! შევიძლია წაბვიდე, ბასეტ. როდესაც პატარა ქალბატონი ვან-ნარკომი მოიკეთებს, მე გამოვიკვლევ ამ საქმეს.

ბასეტმა თავი დაბლა დახარა და ოთახიდან გავიდა.

— მაღლობა ღმერთს! — წაიჩურჩულა მან და თავის ოთახის კარი მოხურა. — ჯერ-ჯერობით ბავშვი გადავარჩინე; შემდეგ შიშველაფერი კარგად იქნება, თუ მოახლემ არ გააფუჭა საქმე; ის მიმხვდარია, საქმე რაშიდაცაა, მაგრამ ძლიერ კეთილია და ბავშვის გაცემა არა სურს.

## XXII

## ფილიპე „შვილების“ დამცველად გამოდის

სადილის შემდეგ ახალგაზდა ეინსვორტები და ფილიპე სასტუმრო ოთახში ისხდნენ.

ექიმმა ლიუსილის ავადმყოფობა ძლიერ უმნიშვნელოდ სცნო, რალაც დამამშვიდებელი წამალი გამოუწერა და წავიდა.

ბატარა ქალი დააწვინეს ლოგინში და ბებია სადილის დროსაც ვერ ჰბედავდა მის მოშორებას, რადგანაც გადია მუდამ მასთან უნდა ყოფილიყო. სასადილოში მარტო ახალგაზდა ეინსვორტებმა და ფილიპემ ისადილეს. და ახლაც იქ ისხდნენ.

ბატონი ეინსვორტი აღელვებული იყო; ქალბატონი ეინსვორტი—გაჯავრებული; ფილიპე კი სულ ჩაჩუმდა. ბავშვის კარგი გუნება ერთბაშად გაჰქრა; გაფითრებული იყო და თვალეზსაც კრემლების კვალი აჩნდა; ის ცდილობდა წიგნის კითხვას, მაგრამ დრო-გამოშვებით ფარულად ხან ბატონ ეინსვორტს, ხან იმის ცოლს შეხედავდა, რომლებიც სადილის წინ მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდნენ.

—რა სისულელეა, განა გონიერი ადამიანი ლიუსილის შეუფერებელ ოცნებას მხარს დაუჭერს?—ამბობდა ბრაზ-მორეული ქალბატონი ეინსვორტი.

—მარტო ლიუსილი ხომ არ ამბობს, ჩემო ძვირფასო; ისინი ყველანი ამბობენ, რომ რალაცა ნახეს.—აღერსიანად უპასუხა ბატონმა ეინსვორტმა.—არ შეიძლება ყველა შესცდეს!

—არ ვიცი, ამის ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ აქ ფილიპე და „შვილები“ არაფერ შუაში არიან,—დარწმუნებით უპასუხა ქალბატონმა ეინსვორტმა.—მე ვიყავი ოთახში არეულობის წინ და თავვეებს წყნარად ეძინათ, რა-



საც ბასეტიც ამტკიცებს. რა უსამართლობაა დედის მხრივ ფილიპეს მტყუნება, თითქოს მან თავგები ლიუსილის შესაშინებლად გამოუშვა. ხომ შეიძლებოდა, რომ თავგები დაკარგულიყო.

— შემიძლია, დედა, ჩემ ოთახში წავიდე? — ჰკითხა ქალბატონ ეინსვორტს ფილიპემ.

— რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო. როგორ გაფითრებულხარ! ავად ხომ არა ხარ?

— კარგად ვარ, გმადლობთ, მაგრამ... მაგრამ დავილაღე.

— ნუ ღელავ, ჩემო საყვარელო, ამ სისულელის გამო. მე დარწმუნებული ვარ, რომ Madame ეინსვორტი დამშვიდდება და ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ შენ აქ არაფერ შუაში ხარ.

ფილიპე ცოტა შეჩერდა, ქალბატონ ეინსვორტს ვედრების თვალთ შებედა, შემდეგ აღერსიანად აკოცა და ოთახიდან წუნარად გავიდა.

— ფილიპემ ეს ამბავი კარგად იცის, — სთქვა ბატონმა ეინსვორტმა. — ვატყობ, რომ მას რაღაცა აწუხებს.

— ეინსვორტო, — შესძახა ქალბატონმა, — მე არ მაკვირვებს დედაშენის საქციელი. მან ბავშვი პირველი ღლიდანვე შეიძულა და ცდილობს ყოველი შემთხვევა ბავშვის წინააღმდეგ გამოიყენოს. მაგრამ შენც რომ ფილიპეს ამტყუნებ! შენ, რომელმაც კარგად იცი, რა მართლის მთქმელი ბავშვია იგი!

— განა სთქვა — არაფერი არ ვიციო? — იკითხა ბატონმა ეინსვორტმა.

— მე არ მიკითხავს მისთვის. არ მინდა ჩემი გამოკითხვით ვაფიქრებინო, თითქოს მასში ეჭვი დამეზადა. მან სთქვა მხოლოდ — თავგები გალიიდან არ გამოამიშვიაო, და მეც ვიცი. რომ ეს მართალია.

— კარგი, ლაურა, ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. მა-

გრამ თუ გავიგე, რომ ფილიპემ რამე დაჰფარა, ძლიერ შეწყინება რადგანაც ის ისეთი აღარ იქნება როგორც მეგონა.

— მართალია ფილიპეს ხან-და-ხან უყვარს ხუმრობა და იქ სადაც სხვები გაიცინებდნენ, დედაშენი ბოროტმოქმედებას ჰხედავს. დედას რომ კური უგდო, შენც ადვილად აგამხედრებს საბრალო ბავშვის წინააღმდეგ. შენ მგონი კიდევ შეგეცვალა მასზე გული. წინანდებურად აღარ გაინტერესებს.

— ახლა კი, ჩემო საყვარელო, უსამართლო ხარ. მე არ გამოვცვლილვარ; წინანდებურად ძლიერ მიყვარს ფილიპე, მაგრამ მის ნაკლსაც კარგად ვხედავ. მგონია—ის ცოტა, — მხოლოდ ცოტა—ლიუსილზე გაჯავრებულია. უმჯობესი არ იქმნებოდა მას ფრთხილად მოელაპარაკო და სთხოვეო ნუ ეხუმრება იმ სულელსა და ნერვებ-აშლილ ვოგოს.

— გამოვკითხო ესე იგი მის სიტყვებს არ დაუჯერო? ეს ხომ ცეკვის ისტორიის განმეორება იქნება და მე კი ბუზის სპილოთ გადაქცევას არ ვფიქრობ. ერთად-ერთი გზაა რაც შეიძლება ჩქარა წავიყვანოთ აქედან ბავშვი. სანამ ის აქ არის, ჩვენ ერთ წუთსაც ვერ მოვისვენებთ!

— ნუ ღელავ, ლაურა, — სთხოვა ბატონმა ეინსვორტმა, — როგორც კი გავიგებთ ღედლის დაბრუნებას, მაშინვე ახალ ორღენანში წავალთ და რასაც იქ გავიგებთ, შეიძლება იმან კიდევაც გაგვანთავისუფლოს ბავშვის წინაშე პასუხის მგებლობისაგან.

ქალბატონმა ეინსვორტმა არაფერი უპასუხა, მაგრამ იმანაც პირველად ინანა რომ ასე აჩქარდნენ და აიყვანეს ბავშვი, ისე რომ არც კი უფიქრიათ ბავშვის აღზრდის მძიმე პასუხისმგებლობაზე.

მეორე დღეს დილით ადრე Madame ეინსვორტს თავის კარებზე ფრთხილი კაკუნი მოესმა. ფილიპეს დანახვამ ძლიერ გააოცა ის. ბავშვი გაფითრებული იყო, მაგრამ ძლიერ გაბე



დულად გამოიყურებოდა. ეს პირველად დაარღვია მან მისი მყუდროება და ქალბატონმა იგრძნო, რომ ის რაღაც დიდმა საქმემ მოიყვანა მასთან.

ბავშვის ცისფერი თვალები მორცხვად და ვედრებით გამოიყურებოდნენ, თუმცა ტუჩები მაგრად მოკუმული და მხრები აწეული ჰქონდა მაგრამ მთელ მის სხეულში მხნეობა გამოჰკრთოდა.

— ნებას მომცემთ, შემოვიდე? მე თქვენთან რაღაც სათქმელი მაქვს. — სთქვა ფილიპემ ყრუ, ძლივს გასაგონი ხმით.

— მოდი, — ცივად უპასუხა Madame ეინსვორტმა. — დღეს ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ მოგისმენ: ამ სიტყვებით ღირსეულად მიუჯდა საწერ მაგიდას და წერილების ვახსნას შეუდგა.

— მე მინდოდა თქვენთვის გუშინდელი ამბვის შესახებ მეთქვა, — აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა აწითლებულმა ბავშვმა. — ამ საქმის დაფარვა უპატიოსნობა იქნებოდა. მე მხოლოდ გუშინ საღამოს უამზე ბატონ სახლთხუცესს. არ მინდა რომ თქვენ იმას გაუჯავრდეთ; გაჯავრება არ ეკუთვნის. იმან ხომ არაფერი არ იცოდა. მე კარს ამოვეფარე, როდესაც ის ოთახიდან გამოვიდა. ის გაკეთებაშიაც არ დამხმარებია. არც კი უნახავს. არ გაუჯავრდებით იმას? არ გაუჯავრდებით? — ამ სიტყვებით ფილიპემ ვედრებით სავსე თვალები Madame ეინსვორტის სასტიკ სახეს მიაპყრო.

— როგორც სჩანს ბასეტი შენი ამბანაგი არ ყოფილა?! — ოდნავის დაცინვით ჰკითხა Madame ეინსვორტმა.

— მან არაფერი არ იცოდა, სანამ ყველაფერი არ გათავდა. მხოლოდ მერმე მითხრა — დაგეხმარებო. მაგრამ მე ჩემთვის არ ვსწუხვარ. თქვენ შეგიძლიათ დამსაჯოთ ისე, როგორც ღირსი ვარ. საბრალო სახლთხუცესი მიყვარს, და არ მინდა რომ დაისაჯოს.

— მე ვხედავ, რომ თქვენ დიდი მეგობრები ხართ, — მკვახედ უპასუხა მოხუცმა ქალბატონმა, — კარგი, განაგრძე შენი

სასიამოვნო აღსარება. მე მაინც ვერ გაშიგია, რა ხუმრობა მოგიწყვია.

ფილიპე ერთ წუთს რყევაში იყო, მაგრამ ძალია მოიკრიბა და გადასწყვეტა სიმაართლე ეთქვა.

— იცით რა, ლიუსილი ჩემზე მუდამ გაჯავრებულია და მე მინდოდა... მე მხოლოდ ვეხუმრე. მინდოდა ცოტა შემეშინებია. მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი რომ ის ავად გახდებოდა. მაშინ ამას არაფრის გულისთვის არ ჩავიდენდი. ვიფიქრე რა სასაცილო იქნება, რომ თავვი გავაკეთო და იატაკზე გაუშვა შეთქი.

— მაშ იქ რაღაცა იყო!—დაიძახა გაბარებულმა Madame ეინსვორტიმა.

— დიახ, იყო. იმათ რაღაცა ნახეს, მაგრამ „შვილები“ კი არა.

— მაშ რა იყო?—იძიებდა მოხუცი ქალბატონი.

— ეს იყო თავვი, მაგრამ ცოცხალი კი არა. მე ის ბამბისაგან გავაკეთე, დაგრებილი კუდი გამოვავი და Mademoiselle-ის კაბის ანაწყვეტი ორი შივივის თვალეები გაუკეთე... შემდეგ გრძელი შავი ძაფი მოვავი და დარბაზში ისეთ ალაგას დავავადე სადაც ოთახში შესვლისას ლიუსილს მისი დანახვა ადვილად შესძლებოდა; ძაფს ვწვედი და თავეს ვახტუნებდი. როდესაც ისინი შეშინდნენ, სახლთხუცესის ოთახში შევათრიე... ელენემ თავეს ქოლგა მოუქნია, მაგრამ ვერ მოახვედრა. ამ დროს ლიუსილს გული წაუვიდა და სახლთხუცესმა მიბრძანა ჩქარა ჩემს ოთახში წავსულიყავი... როგორც ხედავთ—„შვილები“ იქ არ ყოფილან.—ფილიპემ დანაშაული რომ გამოსთქვა, მსუბუქად ამოისუნთქა და შიშით ელოდა შემდეგ რა იქნებოდა.

— აი ხედავთ! აი ხედავთ, რა ტყუილია! რა შეცდომაა!—გაჯავრებით გაიძახოდა Madame ეინსვორტი.—ედუარდს კი ბავშვის სიმაართლით თავი მოსწონდა.

— ეს არ იყო მოტყუება, — ამაყად უპასუხა ფილიპემ, — მე არასოდეს არ ვსტყუი. ეს ხუმრობა იყო. ყველაფერი იმის ბრა-



— თქვენ გსურთ მამა ჟოზეფის „შვილები“ გადაჭვაროს?

ლოა, რომ მე სახლთხუცესის ოთახში ვიყავი და არ მინდოდა რომ იმას გაჯავრებოდით. იმიტომ გუშინ ვერაფერი ვსთქვი. ძლიერ ვსწუხვარ რომ ასე მოვიტყევი; და ლიუსილის ავადმყოფობამაც ძლიერ შემაწუხა. მე მოვედი, რომ პატიება გთხოვოთ.

— შენ გაპატიო! ეს არ იქნება კარგი საქციელი. ვეცდები, რომ სასტიკად დაგსაჯონ! შენ უნდა იცოდე, რომ ჩემთან ხუმრობა არ შეიძლება!—ამბობდა გაბრაზებული Madame ეინსვორტი.

— რა გაეწყობა, დამსაჯონ,—მამაკურაუ სთქვა ფილიპემ,—მე დამსაჯეთ, მხოლოდ გთხოვთ სახლთხუცესს ნუ გაუჯავრდებით.

— ბასეტს ისე მოვეპყრობი როგორც მე მსურს. მე უბრძანებ რომ ახლავე გადაყაროს ის საზიზღარი თავგები.

— თქვენ გსურთ მამა ეოზეფის „შეილები“ გადაყაროს!?—დაიძახა ფილიპემ.—ისეთი კეთილი და წყნარი ცხოველებია და ისეთი სუფთა. ყოველ დღე ვსწმენდ იმათ გალიას.

— მე საკმაო უსიამოვნობა გამოვსცადე მას შემდეგ, რაც ის ცხოველები ჩემს სახლში გაჩნდნენ,—და Madame ეინსვორტი სასტიკის გამომეტყველებით მაგიდასაკენ მიბრუნდა.—ხმაურობა საჭირო არ არის შეგიძლია წახვიდე. მე არ მცალიან.

საწყალი ფილიპე! მას არც კი მოსჩვენებია ამისთანა საშინელი სასჯელი. ის სრულ სასოწარკვეთილებას მიეცა.

— ისეთი პაწაწინა ცხოველებია! ისინი ჩემს გარდა არავის არ იცნობენ და ისე ეშინიანთ სხვისი, რომ სიმშლით დაწყდებიან ან დაიკარგებიან. რას იტყვის მამა ეოზეფი, როდესაც მე მასთან „უშეილებოთ“ მივალ! პირობა მივეცი,—იმათთვის ვიზრუნებ-მეთქი. ისე მიყვარს ისინი! ისინი ისეთი პატარები არიან და ყველაფერი ესმით; იმათ მე უყვარვარ! სხვა საზრუნავი არაფერს მყავს. ჩვენ ჩქარა წავალთ სახლში; ნება მიეცით იმათაც ჩვენს წასვლამდის აქ დარჩნენ. გვედრებით—დასტოვეთ თავგები აქ! ისეთი მადლობელი ვიქნები!

Madame ეინსვორტი სავარძლიდან წამოიჭრა. ბავშვის რაღაც მწუხარე ვედრების ხმა მის გულს ჩასწვდა. ეს იყო ბავ-



შენს მწუხარების კილო, რომელიც მას დიდი ხნის წინად გაეგონა; და მისი გული ერთბაშად მოღბა. ცხარე ცრემლები მოადგა თვალებზე და ერთ წუთს მღვდვარების დაფარვა გაუქირდა. ბოლოს აკანკალებული ხმით სთქვა:

— კარგი, კარგი, შვილო! აგრე იყოს! უბრალო რამეზე ნუ შფოთავ. დარჩენ ისინიც, მხოლოდ ამაზე მეტს ნულარ მალაპარაკებ. აჰ, მოიწმინდე თვალები. შენს ოთახში წადი და ეცადე ლიუსილს უფრო კეთილად მოექცე.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ!— დაიძახა ფილიპემ აღტაცებით და მის სახეზე ცრემლები ღიმილმა გააშუქა, როგორც წვიმის დროს ცისარტყელა. თქვენ სახლთხუცესსაც არ გაუჯავრდებით?— მოუთმენლად დასძინა მან.

— იყოს ისე, როგორც შენ გინდა. ის სასჯელის ღირსია, მაგრამ შენი ხათრისთვის ვაპატიებ.

არას დროს Madame ეინსვორტს ასე ღმობიერად არ უღაპარაკნია ბავშვთან. მას ძლიერ უნდოდა გულში ჩაეკრა ბავშვი და მიჰფერებოდა, მაგრამ ამის მაგიერ წასვლის ნება მისცა. ამპარტავანმა ქალბატონმა ერთი დღისათვის საკმაო დათმობა გამოიჩინა და გადასწყვიტა თავის თავისთვის მეტის ნება არ მიეცა. ბავშვს თვალი გააყოლა და ფიქრობდა: „უცნაურია: ბავშმა ისე მომალბო!.. იყო წამი, როდესაც ვფიქრობდი, რომ ის ჩემია, ჩემი ღვიძლი შვილი, რომ მასთან რაღაც მაკავშირებს!..“

## XXIII

### მეტოქე

მარტივ ვაჟიდა, მაგრამ ბატონი ეინსვორტი სამხრეთში არ მიდიოდა. მამა მარტინისაგან ვაიგო, რომ მამა ეოზეფი ჯერ არ დაბრუნებულა და რომ ის სადღაც შორს, ახალი მექსიკის შუაგულ ალაგას არის. მხატვარმა გადასწყვიტა არ

აჩქარებულიყო, რადგანაც ღვდელთან წერილი რამდენიმე თვის შემდეგ მივიღოდა. გავიდა აპრილიც, და მწვანე, სურნელოვანი მაისი დადგა.

ფილიპე მწიარედ მოსტყუედა, თუმცა არაფერს ამბობდა. მისთვის უფრო სასიამოვნოც იყო, რომ მამა ჯოზეფი ჯერ არ დაბრუნებულა და დეა დახმარებას აღარ საჭიროებდა. ის ამას სწუხდა და ლოდინი უფრო გაუადვილდა. ამას გარდა მისი აქცხოვრებაც უფრო სასიამოვნო შეიქნა. Madame ეინსვორტი თავგების ამბის შემდეგ ისე სასტიკად აღარ ექცეოდა და ზოგჯერ თითქმის კიდევ ეფერებოდა. ლიუსილსაც ისე ათვალწუნებული აღარ ჰყავდა ბავშვი, თუმცა მათი დამოკიდებულობა ნათესაურს არ ჰგავდა.

იმ დღიდან, როცა პატარა მემკვიდრემ თავის გულისთვის ისეთი ალიაქოთი ასტეხა, ფილიპე დარწმუნდა, რომ ის პატარა, სუსტი და საპნის ბურთივით მზატე გოგოა, რომელიც პირველი შებერვისათნავე მზად არის გაჰქრეს. განვლილმა ამბავმა მას ბევრ რამეზე აუხილა თვალები. ის მიხვდა, რომ მდიდარი მემკვიდრე და ღარიბი ბავშვი ერთი მეორისაგან ძლიერ შორს არიან, რომ უბრალო ხალხის ბედნიერება და სიხარული უმნიშვნელოა „უმადური კლასის თვალში“, როგორც ბასეტი უწოდებდა მათ; რომ შეილობილი არცკი უნდა ცდილობდეს მდიდარ მემკვიდრესთან გათანასწორდეს, რადგანაც ყოველთვის წინააღმდეგობას შეხვდება. მან შეიტყო, რომ არიან მდიდარნი და ღარიბნი, შეიტყო, რომ მდიდართა ცხოვრებაში საგანს ყოველთვის თავის სახელს არ უწოდებენ და იმ არშინით არ ზომავენ, რომლითაც ღარიბი ხალხი ზომავს.

აქამდის ტუანეტას და მამა ჯოზეფის საზოგადოებაში ყოფნის დროს მას არ დასჭირებია ამგვარ რამეზე დაფიქრება, მაგრამ ახლანდელი ცხოვრება ძლიერ განსხვავდებოდა წინანდელისაგან და უფრო რთულიც იყო. ფილიპე ბუნების შეილი იყო და იმავე დროს ცოტათი ფილოსოფოსიც. იმას



საქიროდ არ მიაჩნდა თავაზიანობა, პატივისცემა და უაზრო ჩვეულება. ყველა ეს ართობდა და იმავე დროს მის გულში მწუხარე გრძნობას იწვევდა: მაგალითად—როცა ბასეტი კარებს გააღებდა და მძიმედ თავს დაუკრავდა Madame ეინსფორტს; ან სადილის დროს თეფშებს რომ გამოცვლიდნენ, ან ერთი მშვენიერი კაბის მაგიერ მეორეს ჩაიცვამდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სადილად მიდიოდნენ. მას ვერ გაეგო მისი მშვენიერი ფოსტლები სასტუმროში შესასვლელად რატომ არ ვარგანან და პრიალა ფეხსაცმელები რატომ უნდა ჩაეცვა, ანუ ყველა რატომ სდგას იმ დროს, როცა Madame ეინსფორტი ზის, ბევრ სხვა ამგვარ ჩვეულების მნიშვნელობას ვერ მიმხვდარყო, თუმცა ქალბატონი ეინსფორტი ცდილობდა მის გაწრთვას.

იმან იცოდა, რომ ზრდილობიანი ქცევა ყველასთან საქიროა, მოსამსახურებთანაც კი; რომ ბავშვი მართალი, გამგონე და კეთილი უნდა იყოს. ტუანეტას ეს ყველაფერი აუხსნია მისთვის. მან იცოდა, რომ გამოქომაგება ესაქიროებოდა პატარა ბავშვს, რომელსაც ამხანაგები სჩაგრავენ, ან გადარჩენა—მშვიერ და სუსტ ძალს, გაძღობა—სიმშვილისაგან შეწუხებულ კატას, პურის ნამცეცების გადაყრა ფანჯრის წინ სიცივეში მყოფ ბელურებისათვის, ადგილის დათმობა ტრამვაიზე, დახმარება იმას, ვისაც მძიმე კალათის წაღება, ან ბავშვის წაყვანა უჭირს და სხვა ამგვარი პატივისცემა, რომელსაც გული გაუმხელს ადამიანს. მაგრამ ყველა ამას ამ ახალ მდგომარეობაში ფერი ეცვალა. თითქმის ყოველ ნაბიჯზე აჩერებდნენ და უკრძალავდნენ ამა თუ იმ საქციელს, რომელიც მას ბუნებრივად ძლიერ საქიროდ მიაჩნდა, და ეს აიძულებდა ყველაფერს ღრმად ჩაჰკვირვებოდა. იმის სახეს მკრთალი ფერი გადაეკრა და თავის წლოვანობაზე დიდი ჩანდა.

როდესაც ხეებმა კვირტები გამოიღეს და ბალახი ამოვიდა, ბავშვი შესამჩნევად გამოცოცხლდა. მთელ თავისუფალ

დროს ბაღში ატარებდა. მას მარტო ყოფნა და ხეების ჩრდილში სიარული უყვარდა. ის წარსულ დროზე ბევრს ფიქრობდა და წარსულ ბედნიერებას ხელახლა განიკდიდა. „შეიძლება მეტს ვეღარც კი ვნახავ დეას და მამა ყოზეფს, და საბრალო „შვილები“ სამუდამოდ აქ დარჩებიან!“—ფიქრობდა ის. მაგრამ მისი მწუხარება მშვენიერი ბაღის წყალობით მალე ჰქრებოდა. გრილ-ჩრდილიანმა ადგილებმა და შუქ-მოფენილმა მინდვრებმა ბავშვი გაიტაცეს. ჩიტები აქაც ეხვეოდნენ. მას არ დაუკარგავს ფრთოსანთა მიმზიდველი ძალა. არ იცოდა იმათი სახელები; ისინი არ იყვნენ ისეთი ლამაზები და არც ისე ნაზად გალობდნენ, როგორც სამხრეთელი მეგობრები, მაგრამ მაინც უყვარდა და თავისთან უხშობდა. ჩიტები უკვე შეეჩვივნენ მის განსხვავებულ სტვენას, მოფრინდებოდნენ მის ძახილზე და თავს ევლებოდნენ საკენკის მოლოდინში.

ხშირად ივნისის მზიან დღეებში Madame ეინსვორტი და ლიუსილი ბაღის ჩრდილიან ხეივანებში დასეირნობდნენ და ხედავდნენ ხის ქვეშ ფეხზე მდგომ ფილიპეს უქულოთ და გაჩეჩილი თმით; ბავშვს სახე უბრწყინავდა და მოსეირნეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

—ნამდვილად ამ ბავშვის ძარღვებში ბოშების სისხლი სდულს; შეხედე—როგორ ველურად გამოიყურება!—ღვარძლიანად ამზობდა Madame ეინსვორტი.

ივლისის დამდეგს საზღვარგარეთიდან ქალბატონი ვან-ნორკომი დაბრუნდა და პატარა შემკვიდრე ნიუბორტში წაიყვანა. მალე Madame ეინსვორტიც წავიდა და უზარმაზარ მიყუჩებულ სახლში მხოლოდ ბატონი და ქალბატონი ეინსვორტები და ფილიპე დარჩნენ. არ შეიძლებოდა იმისი თქმა, რომ ბატონი და ქალბატონი ეინსვორტები განზრახ ყურადღებას არ აქცევდნენ თავის შვილობილს. ქალბატონი ეინსვორტი ავად იყო და დღის უმეტეს ნაწილს თავის ოთახში ატა-

რებდა; ბატონი ეინსვორტი კი მთელ თავისუფალ დროს ცოლს არ შორდებოდა. ქალის ავადმყოფობამ აიძულა ისინი საზაფხულოდ ქალაქში დაჩქინილიყვნენ. ეს მეორე მწარე განცდა იყო ფილიპესთვის, რომელსაც ოცნება უზატავდა ტყეებსა, სადაც მან წარსული ზაფხული გაატარა.

მასთან ახლოს იყვნენ „შვილები“, ბალი, და წიგნები, თუმცა ახლა ისინი ისე აღარ უყვარდა, როგორც წინად. მასწავლებელი, რომელიც მასთან მთელი ზამთარი მეცადინეობდა, ამბობდა, რომ მისი შეგირდი ძლიერ ჭკვიანი და გამგონია, მაგრამ სწავლა არ უყვარს, არ უყვარს ლათინური და მათემატიკა.

ბუნება—ფილიპეს საყვარელი წიგნი იყო და ხელოვნება და პოეზია მის თვალში გარეშემო ყველაფერს ჩრდილავდნენ. ცხოვრებას მოწყვეტილი, განყენებული მეცნიერება ჰღალავდა და სევდასა ჰგვრიდა. ამიტომ ძლიერ გაეხარდა, როდესაც საზაფხულოდ მასწავლებელი წავიდა და მას სრული თავისუფლება მისცა.

ხანდისხან ის „შვილებს“ დღესასწაულს უმართავდა და მისთვის დიდი ბედნიერება იყო, როცა ბაღში მოხეტიალე პატარა ბავშვებს აჩვენებდა, რა ცოდნის პატრონი იყვნენ მისი „შვილები“. თუმცა ეს სახიფათო იყო მისთვის, რადგან ბატონმა ეინსვორტმა სასტიკად აუკრძალა „შვილების“ გამოყვანა: მას არ მოსწონდა, როდესაც ბავშვი ქუჩაში მოხეტიალე ხალხს წარმოდგენას უმართავდა.

— ნამდვილ მაწანწალასავით გამოიყურება ეს ბავშვი, — უსიამოვნოდ ეუბნებოდა ბატონი ეინსვორტი ცოლს, — როდესაც ის დაბალი წრის ბავშვების საზოგადოებაში გაერე-

ვა. ასე გგონია, რომ ისიც იმათ წრიდან გამოვიდაო. საკვირველია, რამდენ ახალ ნაკლს ვამჩნევ ყოველ დღე. ზოგჯერ მგონია, რომ ის ირყენება.

— ის იზრდება,—ამოოხვრით უპასუხა ქალბატონმა ეინსვორტმა.—ბავშვური სილამაზე გაუქრა. ის ბავშვობიდან ყრმობაში გადასვლის ხანაშია. ზოგჯერ მეც შიშსა ვგრძნობ... საექვოდ მიმანია, რომ სხვისი ბავშვის თავის შვილივით შეყვარება შეიძლებოდას.

— ძლიერ გვიანია ახლა ამაზე ფიქრი, ლაურა. ჩვენ ყველაფერი სხვანაირად გვეგონა, როცა ეს საქმე შევასრულეთ. ახლა კი ყველაფერი უნდა ავიტანოთ. არ შეგვიძლია ჩვენი გრძნობა დაესძლიოთ, მაგრამ პატიოსანი ქცევა კი ყოველთვის ჩვენ ხელთ არის.

სექტემბრის დამდეგს ლიუსილის მაგიერ ფილიპეს სხვა ბევრად უფრო საშიში მეტოქე გაუჩნდა, ვინემ პატარა მემკვიდრე. ქალბატონ ეინსვორტს ვაჟი ეყოლა. მამის ხათრისთვის სახელად ედუარდი უწოდეს და მის დაბადებას დიდი სიხარულით შეხვდნენ. Madame ეინსვორტი მაშინვე დაბრუნდა ნიუპორტიდან. გამდელად ხანში შესული ფრანგის ქალი დაიჭირავეს და პაწაწა ეინსვორტების მემკვიდრის შესაფერი თავაზიანობით ლიუსილის ოთახში მოათავსეს.

დაინახა თუ არა ახალდაბადებული, ფილიპე გაფითრდა. თვალეში ცრემლები მოადგა, როცა ის პირველად დაინახა. იმან ბავშვს ვარდის ფერ ლოყაზე აღერსიანად აკოცა.

— რა პატარაა! — სთქვა ფილიპემ. — დარწმუნებული ვარ,

რომ შევიყვარებ და ვიზრუნავ მისთვის, როცა ის წამოიზრდება.

ქალბატონ ეინსვორტს საშინლად ეშინოდა იმათი პირველი შეხვედრისა. მას ეგონა, რომ ბავშვის ნახვა ფილიპეს შურს აღუძრავდა გულში, მაგრამ ბავშვის აღერსიანმა ქცევამ დაამშვიდა და ძლიერ გაახარა იგი.

Madame ეინსვორტი ისევე მოუსვენრად აცხადებდა შვილისშვილის სიყვარულს, როგორც წინად ლიუსილისას. ის ძლიერ სწყუხდა, რომ მის შვილს პირდაპირი მემკვიდრე არ რჩებოდა, რომელზედაც მისი სახელი და ქონება უნდა გადასულიყო. ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ შემდეგში შვილობილი იქნებოდა ერთადერთი ეინსვორტი. ახლად დაბადებული კი იმიტომ გაჩნდა, რომ ბედნიერებით და სიხარულით აეცხო მისი უკანასკნელი წლები. ზოგი პრინციც კი არ იქნებოდა ისეთი დიდებით გარემოცული, როგორც ეს პაწაწინა, წითელი არსება, ისე უღარდელად მძინარე ძვირფას არწივებით მორთულ აკვანში.

ფილიპე გულგრილად უცქერდა ყველა ამ ოჯახურ სიამოვნებას. მართალია—მისი ღრმა თვალები კიდევ უფრო გაღრმავდნენ და დინჯად გამოიყურებოდნენ. სახე უფრო-და-უფრო დაუგრძელდა და უყვითლდებოდა. როდესაც ცივი ნესტიანი ქარი ამოვარდა, ხშირად სიცივეს უჩივოდა და ბასეტმაც შენიშნა, რომ ბავშვს ხშირად ახველებდა, მაგრამ ამისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია. კეთილმა ბებერმა ხველის წინააღმდეგ წვეთები მისცა, მაგრამ ფილიპეს წამლის დაღვევაზე არც კი უფიქრია. ის თბილად იყო გახვეული თავის ქურქში, ზამთრის მოახლოებით გახარებული, რადგანაც

ფიქრობდა, რომ ამ ზამთარში უეჭველად გაემგზავრებოდნენ. ქალბატონი ეინსვორტი სუსტი ჯანის ადამიანი იყო და უკვე ლაპარაკობდნენ გაზაფხულზე სამხრეთში წასვლის შესახებ.

„ახლა ჩქარა წავალთ“, — ფიქრობდა ფილიპე და მოთმინებით დღეებს ითვლიდა.

დათიკო ანთაძე

(შემდეგი იქნება)





## აქლემი და ნემსი

(ი. აკუნჯიასი).



ორასანში ცხოვრობდა მექარავენე ნაზიმი. ნაზიმს ჰყავდა ხუთი აქლემი, ხუთი მალალი, ღონიერი აქლემი. ძალიან უყვარდა პატრონს თავისი აქლემები, რადგან ძვირად, ძალიან ძვირად დაუჯდნენ ისინი. განსაკუთრებით კი ამყობდა მექარავენე ნაზიმი ერთი აქლემით, რომელსაც ნარი ერქვა სახელად. ხუთას დინარად იყიდა ნარი, როცა ის ჯერ ახალგაზდა იყო, სწორედ იმდენი დაუჯდა, რამდენიც ნარის ოთხი მოზრდილი ამხანაგი ღირდა.

ნარი იყო ქარავენბაში, ქარავენის წინამძღოლი. ის ყოველთვის მეთაურობდა დანარჩენ აქლემებს, ყველაზე ღონიერი და ყველაზე მალალი იყო. მოწითალო ბეწვი ნაზ ბუმბულივით ჰფარავდა ნარის ვეება თავს და მოგრებილ, ძარღვიან კისერს, რომელსაც ებლაუქებოდა ნაზიმი, როცა აქლემის მალალ ზურგზე ატოცვას და მის ორ თბილ კუზებს შუა სამგზავროდ მოკალათებას დააპირებდა. ნარს ღიდრონი, რაღაც წყველიადივით შავი თვალეები ჰქონდა. ორმოც-და-ათი ვევიანი და იმდენივე ფერადი ძაფებისა და ნაკრებისაგან გაკეთებული კრელი ფოჩვი უმშვენებდა ფართო შუბლს, მოკლე

ყურებსა და გძელ თავს თავმოწმონე ნარს. სპილენძის საქარაენო ზარი, მძივებით ნაქარგ ღვედზე მობმული, ჩამოკიდებული იყო ნარის კისერზე. ზარში, ენის მაგიერ, ქანაობდა ვირის თეთრი გვერდის ძვალი, რომელიც მექარავენე ნაზიმმა ერთხელ უდაბნოს ყვითელ ქვიშაში იპოვა.

ასე მორთულ-მოკაზმული ნარი მშვენიერი აქლემი იყო, და ბედნიერი ნაზიმი შესტრფოდა მის, როგორც ღვთისაგან მოვლინებულ ძვირფას განძს. ნაზიმი ამ განძის ღირსად სცნობდა თავის თავს, რადგან კარგად იცოდა, რომ ყველა თავის მეზობელს სჯობდა. იგი ღვთის მოსაყვი მაჰმადიანი იყო; ლოცვას თავის ღღეში არ ივიწყებდა და სასტიკად იცავდა ყველა წესებსა და წმიდა ყურანის ყველა კანონს.

ერთხელ, როცა მზე მოეფარა ცის კიდეს და მწუხრის გრილი სიო მოეფინა დედამიწას, ნაზიმმა დატვირთა თავისი აქლემები ძვირფასი აბრეშუშითა და ფარჩით გატენილ მძიმე ზანდუკებით, შეასრულა მწუხრის ლოცვა, კარგად მოიკალათა ნარის რბილ კუზებს შუა და გაუდგა თავისი ქარაენით გზას უდაბნოს ყვითელ ქვიშარზე.

მთელი ღამე მგზავრობდა ნაზიმი უდაბურ, მყუდრო, ძილით შეპყრობილ, ზღვასავით უძრავ, თვალ-უწვდენ უდაბნოში.

ბრწყინვალე ვარსკვლავები ხალისიანად ციმციმებდნენ ცის შავ გუმბათზე და ნაზიმს შორი ქვეყნისკენ გზას უნათებდნენ.

ნაზიმი გულის სიღრმიდან მადლობას სწირავდა ალლაჰს და მის ღიდებულ, მიუწდომელ განგებას.

ვირის ძვალსაც არ ეძინა. ქარაენის თვითეულ ფეხის გადადგამაზე იგი ურაზუნებდა ზარს და ისმოდა ყრუ, ძლიერი ხმა: დინ... ინ! დო... ონ!

ამ ხმების მწყობრი ტალღები მიიპართებოდნენ შორს, შორს ღამის მყუდრო წყვილიდში და უდაბნოს დაუსრულე-



ბელ სივრცეში იფანტებოდნენ. მდუმარე აქლემებიც ესაუბრებოდნენ ამ საოცნებო ხმებით დიად, მდუმარე უდაბნოს.

ღამე ილეოდა. დღე მოახლოვებული იყო. ვარსკვლავები შეკრთნენ და ერთი მეორეზე ჰქრებოდნენ. აღმოსავლეთის ცის კიღურზე ღრუბლების ნაწყვეტები ოქროს ფრად აინთნენ. ნაზიმმა თვალები ამოიფშენიჭა, ზანტად დაამთქნარა, გაიზმორა, წინ გაიხედა და სიხარულით შენიშნა შორს ქარვასლისა და ზეთისხილის ხეების ბნელი ჩრდილები.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! ოჰ, ოჰ, ოჰ! — მხიარულად წამოიძახა ნაზიმმა და გაამხნევა დაღალული აქლემები.

ნარმა გაიგო, რა უნდოდა იმის პატრონს. უფრო შორს გაადგა ძარღვიანი, მრუდუ ფეხები და უფრო ხშირ-ხშირად გაისმა ზარის გუგუნო. მაგრამ ერთბაშად აქლემები შედგნენ და შესწყდა ზარის ხმა.

გაკვირვებული ნაზიმი წამოდგა და ნარის წინ, ხუთი ნაბიჯის მანძილზე, დაინახა ყვითელ, შშრალ ქვიშაზე რკალივით მოხრილი ბებერი დედაკაცი.

— ეი, შენ, ბებერო, რად გამიჩერე ქარავანი, მომშორდი გზიდან! — როგორც ხვანთქარმა თავის ტახტიდან, შესძახა გაჯავრებულმა ნაზიმმა თავის მალაღი აღგილიდან.

— ოჰ, მექარავენე ნაზიმო, — სთქვა ბებერმა დედაკაცმა: — შენ ნარს მუხლები მოაკეციენე, ჩამოდი დაბლა და დაკარგული ნემსი მომიძებნე; სუსტი თითებიდან გამეარდა ქვიშაში და ვერას გზით ვეღარ მოვნახე. მე ბებერი ვარ. ალღოპმა წამართვა თვალთა სიმახვილე. შენ კი ახალგაზდა ხარ, თვალთა კარგად გიჭრის. ჩამოდი დაბლა, ქარაენის პატრონო, მოუძებნე ბებერ ქალს მისი ერთად-ერთი ნემსი, რადგან პერანგი უნდა შეიკეროს და თავისი სიშიშველე დაჰფაროს.

— რო...ოგორ?! შენი ნამცეცა ნემსის გულისთვის ჩემი მთისოდენა ნარი უნდა გაეაჩერო?! — შესძახა ნაზიმმა და თა-

ვის ყურებს არ უჯერებდა. მძიმე სიბერეს არა მარტო თვალის ჩინი, როგორც სჩანს—გონების ნაპერწკალიც ჩაუქვრია შენ საბრალო თავში.

—ო...ო...ო!—შესძახა ნაზიმმა ნარს და აღვირს მოსწია. ნარი დაიძრა და მორჩილ ბავშვებსავეთ გაპყვნენ მას ოთხი ამხანაგი და მალე ქარაენის ზარის გუგუნმა დააბზო ბებერი ქალის სუსტი ხმა.

—საცოდავ, ჟანგიან ნემსის გულისათვის მთელი ქარავანი გამიჩერა!—ბუტბუტებდა მთელი გზა ქარვასლამდის ბებრის თავხედობით გაანჩხლებული ნაზიმი.—ფქპარობ, რომ მზის მწვავე სხივებს გადაურჩე, ის კი თავისი ნემსით მეჩხირობა თვალში!—სთქვა ნაზიმმა და ჩამოხტა აქლემის ზურგიდან ქარვასლის კარებთან, სწორედ იმ დროს, როცა მზემ თავისი გაფარვარებული კიდე გამოაჩინა ცის ტატნობზე.

ნაზიმმა მარჯვედა და მზიარულად შეიყვანა თავისი აქლემები ქვის კედელ-შემოვლებულ დიდ ეზოში, მუბლები მოაკეცინა, ჩამოხსნა მძიმე ზანდუკები, სტაცა ხელი ტომარას და გაიქცა მშვიერ პირუტყვებისათვის ბზის მოსატანად.

როცა დაბრუნდა ბზით გატენილ ტომრით ხელში, ნარი აღარსად სჩანდა. გაოცებულმა ნაზიმმა იქით-აქეთ მოავლო თვალი, მაგრამ ეზო ცარიელი იყო. ნაზიმმა დაადგო ტომარა მიწაზე და კიშკარში გავარდა. ყვითელ, თვალ-უწყედენ ზეწარივით გართხმული იყო მის წინ სწორი, მდუმარე უდაბნო; ნარი კი არსადა სჩანდა. თითქო უფსკრულმა შთანთქა მისი აქლემი. გონება-დაბნეული ნაზიმი გაიქცა, და თვითონაც არ იცოდა—სად მირბოდა.

დიღხანს მირბოდა ნაზიმი. თეთრი დოღბანდი უკან მოექცა და მზისგან დამწვარ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. უეცრად დაინახა გზის კიდეზე ვიღაც შავ-თიანე ახალგაზდა ქალი, რომელიც რაღაცას ეძებდა ქვიშაში.

ნაზიმი მიჰვარდა ამ ქალს:

— ძვირფასო ქალო, ხომ არ გინახავს ჩემი აქლემი? ჩემი ძვირფასი, მთის ოდენა ნარი, რომელსაც ორმოცდაათი ექვანი და ფერადი ძაფებისა და ნაქრებისაგან დაწნული ფორვები აბია და ძვირფასი ფარჩითა და აბრეშუმით გატენილი ზანდუკები შიაქვს?

— ალიმ ვითხრა: თუ დღეს საქორწილო კაბის კერვა არ გავითავებია, სხვა ცოლს მოვიყვანო,—საბრალო ხმით უბასუხა ახალგაზდა ქალმა.—მეც აეჩქარდი, ნემსი ხელიდან გამევარდა და ვერას გზით ვერ მიპოვია. მომიძებნე, ნაზიმო, ჩემი დაკარგული ნემსი.

— მე აქლემის, ძვირფასი საქონლით დატვირთული აქლემის ამბავსა გკითხავ,—უფრო ხმა-მალლა გაიშეორა ნაზიმმა თავისი ნათქვამი.—ხომ არსად გინახავს ჩემი აქლემი?

— აი, აქ დავარდა ჩემი ნემსი,—ქვიშაზე აჩვენა ნაზიმს ახალგაზდა ქალმა და შის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა.—მოძებნე, ნაზიმო, ჩემი დაკარგული ნემსი.

— ქალო!—დაიყვირა ნაზიმმა.—მე ნარს, ჩემ ნარს ვეძებ. ხომ არ გინახავს ნარი, აქლემი, რომელიც 500 ლინარი დამიჯდა?

— ვის უნდა შევაფარო თავი? ვინ მარჩენს მე, უბედურ ქალს, თუ ალი სხვა ცოლს მოიყვანს?—ტირილით უთხრა ახალგაზდა ქალმა.—ნაზიმო, მომიძებნე დაკარგული ნემსი.

ნაზიმი დარწმუნდა, რომ ამ ქალს ვერაფერს მიახვედრებდა, გადარეულად ჩასთვალა და ისევ გაიქცა.

დიღხანს ირბინა ნაზიმმა. თეთრი დოღბანდი მიწაზე ჩამოუვარდა, ტიტველა, მოპარსულ თავსა და კისერზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, წვერ-ულვაშს უსველეებდა და პირში ეწვეთებოდა.

უეცრად ნაზიმმა დაინახა მდინარე, და მდინარის პირად—  
მეთევზე, რომელიც სველ ქვიშაში რალაცას ეძებდა.

ნაზიმი მიჰვარდა მეთევზეს.

— ძვირფასო ძმაო მაჰმადიანო, ხომ არ გინახავს ჩემი  
აქლემი?... ჩემი ძვირფასი, მთის ოღენა ნარი, რომელსაც ორ-  
მოცდაათი ეგვანი და ფერადი ძაფებისა და ქრელი ნაქრე-  
ბისაგან დაწნული ფოჩვები აბია და ძვირფასი საქონლით გა-  
ტენილი ორი ზანდუკი მიაქვს?

მეთევზემ უპასუხა:

— ოჰ, მექარავენე ნაზიმო, დაგლეჯილია ჩემი ბადე,  
მინდოდა დამეკერებია, მაგრამ უეცრად ნემსი ქვიშაში გადა-  
მივარდა და ვერსად მომიძებნია. შინ მშვიერი ბავშვები მიც-  
დიან. მომიძებნე, ნაზიმო, ჩემი დაკარგული ნემსი.

— აქლემის, ძვირფასი აბრეშუმით და ფარჩით დატვირ-  
თულის, ჩემი ვეება ნარის ამბავსა გკითხავ, — უფრო ხმა-მაღლა  
გაიმეორა თავისი სიტყვები ნაზიმმა. — ხომ არ გინახავს ჩემი  
აქლემი?

— მკონი აი აქ გამვარდა ნემსი, — უჩვენა ქვიშაზე მე-  
თევზემ და ნაზიმის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. — მომიძებნე,  
ნაზიმო, ჩემი ნემსი.

— რად მინდა შენი ნემსი! — შესძახა გაბრაზებულმა ნა-  
ზიმმა. — ნარის, ჩემი ნარის ამბავსა გკითხავ! ხომ არ გინახავს  
ნარი, აქლემი, რომელიც 500 დინარი დამიჯდა.

— მე ვერ დაებრუნდები ჩემ ბავშვებთან უთევზოდ. ნა-  
ზიმო, მომიძებნე დაკარგული ნემსი.

ნაზიმი დარწმუნდა, რომ ვერაფერს შეასმენდა მეთევზეს,  
გადარეულად ჩასთვალა, თავი დაანება და გაიქცა.

დიდხანს, დიდხანს მირბოდა ნაზიმი. მზე მაღლა იყო აწე-  
ული და ნაზიმს თავისი მზურვალე სხივებით სწვავდა. ფეხსაც-

მელებს უკანასკნელი ნაგლეჯები დაჰკარგა; მშრალი, მხურვალე ქვიშა მის ტიტველა ფეხებს უწყალოდ სწვავდა.

უეცრად ნაზიმმა მწყემსი დაინახა.

— მწყემსო! — მიჰვარდა ნაზიმი. — ძმაო, მითხარი, ხომ არ გინახავს ჩემი აქლემი? ჩემი ძვირფასი, მთის ოდენა ნარი, ოროცდაათი ეყვანით და ფერადი ძაფებისა და კრელი ნაქრებისაგან დაწნული ფოჩვებით შემკული და ძვირფასი საქონლით დატვირთული აქლემი?

— ოჰ, ნაზიმო, — საცოდავი ხმით დაიწყო მწყემსმა და ფეხზე ხელი იტაცა. — რაღაც შემესო ფეხში და სიარულსა და მწყემსობას მიშლის. ნემსით უნდა გამომძრო ეკალი, მაგრამ ნემსი ხელიდან გამვარდა, ქვიშაში დაიკარგა და ველარ მომიძებნია. მომიძებნე, ნაზიმო, ჩემი ნემსი.

— აქლემის, ძვირფასი საქონლით დატვირთულ აქლემის ამბავსა გკითხავ, მაჰმადიანო, — პირდაპირ ყურში შესძახა მწყემსს ნაზიმმა. — ხომ არ გინახავს ჩემი აქლემი?

— მგლები შესკამენ ჩემ ცხვრებს, დაალრჩობენ ყველას, — ჩიოდა მწყემსი. — უნდა მოუარო ჩემ ცხვრებს. მომიძებნე, ნაზიმო, დაკარგული ნემსი.

— უტვინო, სულელო ლაწირაკო! — შეჰღრიალა ნაზიმმა და მწყემსს მხტებში ხელები ჩასკიდა. — ნარი, ჩემი ნარი ხომ არ გინახავს, ჩემი აქლემი, რომელიც ხუთასი დინარი დამიჯდა.

— აი აქ დაეცა ჩემი ნემსი, — ცალი ხელით ქვიშაზე აჭვენა მწყემსმა, მეორეთი კი ნატკენი ფეხი ეკირა და არ გრძნობდა, როგორ ანჯღრევდა მას ნაზიმი.

რა დაინახა ნაზიმმა, რომ მწყემსს ვერაფერს შეასმენდა, იფიქრა: ესეც გადარეული ყოფილაო, მიატოვა და გაიქცა.

დიღხანს ირბინა ნაზიმმა. მზე მალლიდან თავს დაჰკურებდა და უწყალოდ სწვავდა თავისი სხივებით. საწყალი ნა-

ზიმი გრძნობდა, რომ უკანასკნელ ძალ-ლონეს ჰკარგავს და მუხლები ეკეცება. ტუჩები გაუშრა და დაუსკდა; გახურებული ჰაერი დამძიმებულ გულს სწვავდა.

უცბად მან ისევ მოხუცებული ქალი დაინახა.

— ო, მოხუცო დედა! შემობრაღე, შეისმინე ჩემი თხოვნა, ჩემო ძვირფასო, მითხარი, ხომ არ გინახავს ჩემი აქლემი? ჩემი ძირფასი, მთის ოდენა ნარი, ორმოცდა ათი ეფენითა და ფერადი ძაფებისა და კრელი ნაკრებისაგან დაწნულ ფოჩეებით შემკული, ორი მძიმე ძვირფასი ზანდუკით დატვირთული, ჩემი ძვირფასი ნარი, რომელიც ხუთასი დინარი დამიჯდა?

— მომიძებნე ჩემი ნემსი, რადგან პერანგი უნდა შევიკერო და მით სიტიტვლე დავიფარო,—უბასუხა დედაბერმა.

მისმა ხმამ თავზარი დასცა მექარაენე ნაზიმს და მთელ ტანში ერუანტელმა დაუარა.

მან მალლა ასწია მუშტები, იმედ-დაკარგულმა გახურებულ, გაოფლიანებულ თავზე შემოიკრა და მშრალ, ყვითელ ქვიშაზე გულით დაეცა.

და ნახა მექარაენე ნაზიმმა სიზმარი:

ახლოს, სულ ახლოს სდგას მისი საყვარელი ნარი, მძიმე, ძვირფასი ზანდუკებით დატვირთული, და შეჰყურებს პატრონს თავისი შავი, ჰკვიანი თვალებით.

ნაზიმმა ასწია ხელები, უნდა მოჰხვიოს რბილ, ვეება თავზე, მაგრამ უცბად ამოდის მიწიდან პატარა, დაფანგებული ნემსი და უზარმაზარ აქლემს ეფარება. ნაზიმი ხელს სტაცებს ნემსს, უნდა ამოგლიჯოს მიწიდან, მაგრამ ნემსს ვერ დასძრავს. გარეშემო ფუსფუსებს ხალხი, მაგრამ არავის არ სურს დაეხმაროს ნემსის ამოღებაში. ის ყველას სთხოვს, ემუდარება, სტირის, მაგრამ ყველა გვერდს უვლის. აი, ვილაც

დედაბერი უახლოვდება. ნაზიმმა იცნო იგი. ეს დედა-მისია, მისი საყვარელი დედა, რომლის ცხედარი მან კარგა ხანია წაიღო და მიწას მიაბარა საღეთო ქალაქ შექაში.

— ო, დედა-ჩემო! — ხვეწნა-მუდართით მიმართა ნაზიმმა. — განურისხდა შემოქმედი შენს შვილს და ადამიანებმა პირი იბრუნეს ჩემგან: არავის, არავის არ უნდა დამეხმაროს, რომ ძვირფასი საქონლით დატვირთული ჩემი საყვარელი ნარი მოვძებნო.

დედაბერმა მკაცრად შეხედა თავის შვილს და უპასუხა:

— რათა სთხოვ ადამიანებს, თავისი ქირ-ვარამით დატვირთულთ, რომ მოგიძებნონ დაკარგული აქლემი, იმ დროს, როცა შენ, დამშვიდებულმა, ღამე ხანგრძლივ დასვენების შემდეგ, არ ისურვე და არ მიაწოდე საწყალ დედაბერს ქვიშაში ჩაფარდნილი პაწია ნემსი? დიდია ცოდვა შენი, ჩემო შვილო, და სამართლიანია მსჯავრი უფლისა.

ნაზიმი დაეცა დედამიწაზე, თავისი დედის ფეხებს მოჭხვია ხელები და მწარედ, მწარედ აქვითინდა.

— დედა, დედა! — ევნესოდა იგი და თავს დედამიწას სცემდა. — ცხელ ნაცარს დავიყრი თავზე და ისე ვივლი შვიდ დღესა და შვიდ ღამეს. შვიდ დღესა, და შვიდ ღამეს განუწყვეტლივ ვილოცავ და შევევედრები ალაჰს, რომ უდიდესი ცოდვა მაპატიოს.

— არ გეპატიება ეს შენი ცოდვა, — მიუგო დედაბერმა.

— დედა-ჩემო, ფეხ-შიშველი, უქუდოთ და გულ-გადადელილი წავალ საღეთო ქალაქში, და ორმოც დღესა და ღამეს ცხელი ნაცარი მექნება დაყრილი თავზე. ორმოც დღე და ღამეს განუწყვეტლივ ვილოცავ და ვიმარხულებ, რომ ყოველის-შემძლე ალაჰმა შემინდოს ჩემი დიდი ცოდვა.

— შენი ლოცვა და მარხულობა სწორედ იმდენად შეგისუბუქებს მწარე ხვედრს, რამდენადაც ერთი კოვზი ტკბი-

ლი შარბათისა ოკეანეს სიმწარეს გაანელებს,—მკაცრად უპასუხა დედამისმა.

— დედა, დედა!—გულისა და სახის ხოქნით ევედრებოდა ნაზიმი.— მითხარი—რა ვქნა, მითხარი—რით გამოვისყიდო ჩემი დიდი კოდვა?

— ძვირფასო, საყვარელო შეილო, — გაიგონა ნაზიმმა თავისი დედის ნაზი, მშვიდობიანი ხმა. — სძებნე სხვისი ნემსი ისე, როგორც ეძებ შენს ძვირფას აქლემს, და მოგეტყვება უდიდესი დანაშაული, და არ იბრუნებს შენგან პირს ადამის შეილი და მისი შემოქმედი, რადგანაც დიღია იგი და უსახლეროა მისი მოწყალება.

და დედებერი დადნა და გაიფანტა ჰაერში, როგორც შუადღისას პატარა ღრუბელი.

როცა ნაზიმი გონს მოვიდა და ფეხზე წამოდგა, მზის კიდე მოჩანდა ცის დასავალზე, როგორც მეჩეთის თითბრის ახალი მთვარე ცის კიდურზე. მან დაბლა დაუშვა თავი გულზე და გაუდგა მწყემსის, მეთევზის და შავთმიან ქალის საძებრად; მაგრამ ვერ მიაგნო ვერაფერს. ირგვლივ გართხმული იყო თვალუწვდენი, მღუმარე უდაბნო. მაშინ გაიგო ნაზიმმა, რომ ცისა და ქვეყნის შემოქმედის დიდებული დესპანი მოველინა მას სხვა-და-სხვა სახით, და ნაზიმი კიდევ უფრო მოიხარა წელში.

ერთბაშად მოეჩვენა, რომ შორიდან ქარავენის ზარის ხმა ისმის. მან ასწია თავი, თვალ წინ დაინახა ქარვასლა, და საყვარელი ძვირფასი ხმები—ბომ, ბომ—იფანტებოდნენ საღამოს ჰაერში. ნაზიმი გაიქცა იქითკენ, საიდანაც ეს ხმები მოდიოდა, და როცა ქვის კედელს შემოუხვია, დაინახა თავისი ვეება ნარი, რომელიც წყნარად სძოვდა ბალახს ზეთისხილის ჩრდილში.



ნაზიბი დაეცა მუხლებზე და წამოიძახა:

— სამართლიანია მსჯავრი შენი, ქვეყნის შემოკმედო,  
და უსაზღვროა მოწყალება შენი!

და მას ისევ მოესმა მშვიდობიანი ხმა:

„ეძებე სხვისი ნემსი ისე, როგორც ეძებდი შენს აქ-  
ლემს“.

სალამოს ბინდი მოეფინა უსაზღვრო, მდუმარე უდაბნოს, და  
უხილავმა ხელოვა აანთო ლამპრები ცის კამარაზე.

ილია ნაკაშიძე.





საქართველოს  
დემოკრატიული  
რესპუბლიკა



# ფინეთი

## წერილი პირველი.



ემო მკითხველებო, უთუოდ ხშირად გაგიგონიათ სიტყვა „ფინეთი“. გაგიგონიათ ისიც, რომ ფინეთი რუსეთისაგან ჩამოშორებას აპირებს,— თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსება სწადია. ამიტომ კარგი იქნება ცოტა რამ გიამბოთ ფინეთის შესახებ უკუჩინალ „ნაკადულის“ ფურცლებზე.

ფინეთი მართლაც საყურადღებო ქვეყანაა. იმყოფება რუსეთის საზღვარ-გარედ, ჩრდილოეთის ყინულიან ოკეანესთან. სიდიდით საქართველოზე ცოტა მეტია. მიწა იქ ძალიან კლდია-ნია; ამიტომ ფინეთის სხვა-და-სხვა ნაირი ქვები ცნობილია მთელ რუსეთში და ბევრიც გააქვთ იქიდან კარგ და ლამაზ სახლების ასაშენებლად.

ფინეთი მდიდარია ზღვებით და ტბებით. ტბები იმდენია, რომ ფინეთს მეტ სახელად ათას-ტბოვან ქვეყანას უწოდებენ.

რადგან ფინეთი ჩრდილოეთის ქვეყანაა და ზამთარი იქ სუს-  
 ხიანი და გრძელი იცის, ამიტომ იქ არ ხარობს ისეთი მცენა-  
 რეები, როგორც საქართველოშია. ამის მიუხედავად ფინეთის  
 ერთ კარგად და ლაზათიანად ცხოვრობს! ფინები განათლებუ-  
 ლები არიან; ქვეყანა კარგადა აქვთ მოწყობილი; უყვართ თა-  
 ვისუფლება, და ამიტომ ახლა აარსებენ დემოკრატიულ რეს-  
 პუბლიკას. დემოკრატიული რესპუბლიკა კი ნიშნავს იმას, რომ  
 მათ არც ხელმწიფე, არც კოროლი არ ეყოლებათ, და თვი-  
 თონ ხალხი იქნება თავის თავის ბატონიკა და პატრონიკა.  
 აი ასეთ კარგ წეს-წყობილებსთვის ფინები განათლების წყა-  
 ლობით მომზადებულნი არიან!

ჩემო მკითხველო, ალბად იკითხავ, თუ ვინ არიან ფინე-  
 ბი ჩამომავლობით, საიდან მოვიდნენ დღევანდელ სამშობლო-  
 ში და რანაირი ისტორია აქვთ?

ფინები, როგორც სწავლულნი ამტკიცებენ, არ არიან  
 ისეთი ჩამომავლობის, როგორისაც ვართ ქართველები, რუ-  
 სები, ფრანგები. გერმანელები, სომხები და სხვები. ფინები  
 ჩამომავლობით ყვითელ-კანიანებს ეკუთვნიან, მაგრამ დანამდი-  
 ლებით სწავლულებმაც არ იციან, რომელ შტოს—მონგო-  
 ლურს, როგორც ჩინელები და იაპონელებია, თუ თურქმე-  
 ნულს, როგორც ოსმალები? იციან დანამდილებით მხოლოდ  
 ის, რომ უძველეს დროში სცხოვრობდნენ ფინები ციმბირში,  
 ალტაის მთებთან, ჩინეთის და მონგოლეთის ახლოს. შემდეგ  
 იქიდან აღმოსავლეთისაკენ შემოიჭრნენ და დაიპირეს ის ად-  
 გილები, რომელიც დღეს რუსებს უჭირავთ.

გავიდა რამდენიმე საუკუნე, და რუსეთში გაჩნდნენ სლო-  
 ვიანები, რომელნიც ფინებს შეერივნენ და წარმოშვეს დღე-  
 ვანდელი რუსები. აშაირად რუსები არიან წარმომდგარი ფინე-  
 ბისა და სლოვიანების შერევისაგან. ფინები მაშინ ძალიან ბევრ-  
 ნი იყვნენ, ამიტომ სლოვიანებთან შერეულებს ვარდა, კიდევ  
 დარჩა წმინდა ფინის ხალხი, რომელმაც შეინარჩუნა თავისი

სახე და ენა. აი, ეს დანარჩენი ფინები არიან ისინი, რომელნიც დღეს ცხოვრობენ რუსეთის ჩრდილოეთით, დღევანდელ პატარა ფინეთში.

თუმცა ფინები ჩამომავლობით ყვითელ-კანიანებს ეკუთვნიან, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინიც შერეულან სხვადასხვა თეთრ-კანიან ერებთან, განსაკუთრებით შვედებთან, და ამგვარად გამხდარან თეთრ-კანიანები.

ფინური ენა ძალიანა ჰგავს იაპონურს. რაც შეეხება, მათ ისტორიას, ისინი ამ-შხრივ არ არიან ძალიან ცნობილნი. ესე იგი—ძველად ფინები არ ყოფილან სხვა ერებსავეთ განვითარებულნი და განათლებულნი, როგორც მაგალითად: გერმანელები, რომაელები, ქართველები, სომხები და სხვები. ძველად ფინებს, როგორც გაუნათლებელ ხალხს, საკუთარი სახელმწიფო არა ჰქონიათ. ისინი ემორჩილებოდნენ შვედებს, რომელნიც ფინებზე ჩრდილოეთით ცხოვრობენ, სკანდინავიის ნახევარ კუნძულზე. შვედები ფინებზე განათლებული ხალხი იყო და თავისი ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ, რომელსაც ემორჩილებოდა ფინეთის ხალხი. მაგრამ 1808 წ., როცა რუსეთსა და სვერიგეთს (შვედეთს) შორის ომი მოხდა, ფინეთი გამარჯვებულ რუსეთს დარჩა, მაგრამ მაშინდელმა ფინეთმა და განსაკუთრებით „ფინეთის“ განთავისუფლების პარტიის მეთაურ გიორგი სპრენგტორტენის მეცადინეობამ ფინეთს მიანიჭა ერთგვარი თავისუფლება, ანუ ავტონომია. გიორგი სპრენგტორტენის მეცადინეობით და მოხერხებით. ფინეთის ქალაქ ბორტოში, 1809 წელს შეიკრიბნენ ფინეთის წარმომადგენელნი და რუსეთის მაშინდელი იმპერატორი ალექსანდრე პირველი და დასდეს ხელშეკრულება ერთმანეთს შორის. ამ პირობის ძალით—ფინეთს მიეცა ავტონომია, რომელს წყალობითაც ფინებს 1809 წლიდან დღევანდლამდე თავის საშობლო ენაზე ჰქონდათ: სკოლა, ეკლესია, სასამართლო, რკინის გზები, ტელეგრაფი და სხვა. მათვე ჰქონდათ საკუთარი



ფული და ჰყავდათ საკუთარი ჯარი. ფინეთში რუსულ ენას არაფერ არ სწავლობდა და არც იციან რუსული ლაპარაკი. რუსეთის მთავრობა აწუხებდა ფინებს და უზღუდავდა თავისუფლებას. ახლა, როცა რუსეთში იმპერატორი ნიკოლოზი აღარ არის და რევოლუცია ხალხს ანთავისუფლებს, ფინებმა მოინდომეს სრული თავისუფლება და ჩამოშორება რუსეთისაგან, რისთვისაც ახლა ისინი მოითხოვენ, როგორც გითხარით, დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ფინების ქვეყანაში ბევრი რამ არის საყურადღებო ჩვენთვის, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ ვიბაასოთ.

დ. ჩ.





# ჩვენი სამშობლოს წყლები

ზორის-ჯვრის აბანო

ცა—ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მარგო,  
სწელი დაგბრუნებულვარ,—  
მკურნალად შეგეყარო.



ოველი ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ შეიძლება მრავალნაირად დასწეულდეს, ეწვალოს, იფავლახოს და ბოლოს, პირზე კრულვით, დატანჯული მოშორდეს წუთი-სოფელს. ადამიანს უხდება ბუნებასთან ბრძოლა ლუკმა პურის საშოვნელად და ამ ბრძოლის დროს მას ელის მრავალი ზიფათი და ავადმყოფობა.

არის ერთი დარგი მეცნიერებისა, რომელიც სცდილობს გამოიკვლიოს, თუ რომელი ავადმყოფობა რის გამო, ან როგორ ჩნდება, რა უწყობს ხელს მის გაჩენას ადამიანის სხეულში, და იძიებს საშუალებას, თუ როგორ ააცდინოს ადამიანს ესა თუ ის სწეულება; იგონებს მრავალ წამლებს და სხვა სამკურნალო საშუალებებს; ეს დარგი მეცნიერებისა არის მედიცინა.

მედიცინას ზოგიერთ ავადმყოფობის მკურნავ უებარ წამ-

ლად მიიჩნია წყლები, რომლებშიაც ურევია გამდნარი სახით რკინა, გოგირდი, რადიი და სხვა, სხეულისთვის სასარგებლო, ნივთიერებანი.

ზოგი ამისთანა სამკურნალო წყალი რგებს ავადმყოფთ, თუ უკანასკნელნი მას სვამენ; ზოგ ავადმყოფის განსაკურნავად კი საჭიროა წყალში ბანაობა.

ჩვენი სამშობლო, საქართველო, ყოველგვარ სამკურნალო წყლებით არის მდიდარი. სამკურნალო წყლები მრავალია ჩვენ სამშობლოს ყოველ კუთხეში: ქართლსა, იმერეთსა და კახეთში, როგორც მთაში, აგრეთვე ბარში. საქართველოს ზოგიერთი სამკურნალო წყლები თითქმის მთელ დედამიწაზე ცნობილია. ასეთებია, მაგალითად, თბილისის აბანოები და ბორჯომის წყლები; უკანასკნელი წყალი წელიწადში რამდენიმე მილიონი ბოთლი მიდის რუსეთსა და სხვა ქვეყნებში.

მეტი წილი სამკურნალო წყლებისა, რომელთა კარგი თვისება დაუფასებელია და ჩვენ კურთხეულ სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში მოიპოვება, ჯერ თვით ქართველებისთვისაც უცნობნი არიან, არამც თუ თვისი სამკურნალო ძალით, არამედ სახელითაც.

ერთი ამისთანა წყალი გორის-ჯვრის აბანოშია.

ქალაქ გორიდან სამხრეთ-დასავლეთის მხრივ, ვერს-ნახევრის მანძილზე, თრიალეთის გორების იმ ნაწილის ძირას, რომელსაც გორის-ჯვრის მთა ეწოდება, არის პატარა ვაკე ადგილი; მას სამის მხრით ზღუდავს მთა და მხოლოდ ჩრდილოეთის მხრით ჩამოუდის მდინარე მტკვარი. ამ პატარა ვაკეს შუა სურის ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი. ის ადგილი, რომელიც მოქცეულია მდ. მტკვრისა და რკინის გზის შუა, გადაქცეულია ქალად, სადაც წყალდიდობის დროს მტკვარი არხენად დათარეშობს. მეორე ნაწილი ამ ვაკესი, მთისა და რკინის გზის შორის მოქცეული, ერთ დროს მხოლოდ

სახნავ-სათესად ხმარებული, ახლა ვენახებით არის მოფენილი და აქა-იქა ღა თუ ბიბინებს მწვანე ჯეჯილი, ცელქნიავისაგან აკანკალებულ-აცახცახებული; სხვა ადგილი უკვე ვაზს დაუქვრია, რომელიც „ჩაჰკონებია კიგოსა,—შუაზე გადაუტეხია“. ამ ვენახების თავში მთის ძირობაზე არის უბრალო შენობა და შიგ მოთავსებულია გორის-ჯვრის აბანო.

ეს სამკურნალო წყალი არ არის ბევრგან ცნობილი, როგორც ზოგიერთი სხვა კუთხის წყლები, მაგალითად აბანო-თუმნისა ან ბორჯომისა, მაგრამ მისი უებარი სამკურნალო თვისება უცილობელია.

მაღალია გორის-ჯვრის მთა, მისი ქოჩორი მშვენიერი ტყით არის შემოსილი. ნაძვისაა ტყე, სურნელოვანი და ხშირი ხეები მწკრივად გამოქიმულან, როგორც ჯარის-კაცნი—თვის უმფროსის თვალ წინ, და მხოლოდ ოდნავ, ოდნავ თავს აქნევენ რაღაც სინანულით, რაღაც გაკვირვებით. ეს ტყე სახელმწიფოდ ითვლებოდა, და უფრო იმიტომ არის შენახული, რომ სასტიკად აკრძალული იყო იქ უთავბოლოდ ხის მოკრა. ახლა, რაკი ძველი მთავრობა აღარ არის, რომელიც ხალხისათვის და მეტადრე ჩვენთვის, ქართველებისთვის, არ ზრუნავდა, ეს ტყეც ხალხის კუთვნილებად ჩაითვლება და ყველა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებელნი იმით წესიერად ისარგებლებენ.

გორის-ჯვრის მთა თითქმის შუა წელამდის არის ტყით შემოსილი; შემდეგი ნაწილი ამ მთის ფერდობისა ტიტველია, საძოვარია, აქა-იქ ხეებითა და ბუჩქებით შემოსილი. რამდენიმე ადგილას ფერდობი მოხნულია, შემუშავებული. ეს საძოვარი ეკუთვნის სოფელ გორის-ჯვრის მცხოვრებლებს. ამ ფერდობს მწვერვალიდან მოყოლებული ირიბად მოსდევს ხევი, როგორც ხმლისაგან დაჩნეული წყლული. სახნავების ძირში, ამ ხევის ბოლოს სდგას ერთად-ერთი შენობა, ორი მხრით დაქანებულ სახურავით; ეს შენობა არის გორის-ჯვრის აბანო.



სიმაღლე ადგილისა ზღვის ზედა-პირიდან 594 ფუტია.

შენობა პატარაა, ვიწრო, ქვა-ტალახით აშენებული. ქვა იქვე მონამტვრევ კლდისაა. შენობა გარედან კირით არის გალესილი და შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ქვითკირისა იყოს. აბანო ერთ-სართულიანია. ფარდული ხისა სადგომ ოთახად იხმარება. ამ სადგომს წინ გაკეთებული აქვს აივანი, საიდანაც მის წინ გადაშლილი მიდამო, რკინის გზა, ლიახვის და მტკვრის ქალები და ქ. გორი, თავისი ისტორიული ციხეთი, მშვენივრად მოსჩანან.

ამ შენობას და თვით სამკურნალო წყალს თავისი მოკლე წარსული აქვს. წყალი გამოდის მთის ძირში, კლდეში რამდენსამე ადგილას; მისი კეთილი სამკურნალო თვისება სოფელ გორის-ჯვრის მცხოვრებლებს ძველის დროიდან შემჩნეული ჰქონდათ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთხელ, კვირა დღით, როგორც სოფელს სჩვევია და მისი წესია, ხალხი შეიყარა, აყაყანდა და ზოგიერთის რჩევით გადასწყვიტა წყლის მოვლა-პატრონობა. გადასწყვიტეს მთის ძირი, სადაც წყალი გამოდიოდა, გაესწორ-გაევაკებინათ და აბანო აეშენებინათ. მართლა მალე საქმეს შეუდგა სოფელი: ადგილი გაასწორეს, გაასუფთავეს, გაავაკეს; ისე რომ შენობის დადგმა მთის ძირში შესაძლებელი გახდა.

შემდეგ ერთმა გორის-ჯვრელმა გლებმა, გვარად თედელურმა, აიღო სოფლისაგან ნება აბანოს აშენებისა, იმ პირობით, რომ თედელურს ეძლია სოფლისთვის თექვსმეტი მანეთი წელიწადში. განსაზღვრულ წლების გასვლის შემდეგ სოფელს უნდა გამოესყიდა მისგან შენობა იმ ფასად, როგორც ამას ერთი-ორი სვინდისიანი კაცი იტყოდა და შეაფასებდა.

თედელურმა შეასრულა თავისი მოვალეობა: ააშენა ხსენებული შენობა, მოაწყო წყლის ასადულებელი ქვაბი, რამდენიმე აუზი და ოთახი. დანიშნულ ვადაზე შენობა, თავისი

მოწყობილობით სოფელმა შეისყიდა თედელურისაგან და უკანასკნელს სამაგიეროდ ასი თუბანი მისცა.

აწ განსვენებულ თედელურს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ აბანოს აღორძინება-გამშენებერებაში.

ახლა სოფელი გაჰპართავს ხოლმე ყრილობას და გამოაცხადებს: აბა ვისა სურს აბანოს იჯარით აღებაო. რაღა თქმა უნდა, — მსურველი რამდენიმე პირი გამოჩნდება, რადგანაც საქმე ძალიან მომგებიანია; ეს რამდენიმე მსურველი ერთმანეთს შეევეჯრება, შეეჯობრება, და ვინც უფრო მეტს გაიმეტებს და მიცემს სოფელს, აბანო იმას დარჩება.

შენობის უკან მთის ძირში გამოწანწკარებს რკინის მილიდან პატარა ნაკადი ჩუხჩუხით, შეუწყვეტელ ლიკლიკით, დღისით და ღამით, ზაფხულობით და ზამთრობით, არც კლებულობს, არც მატულობს; ნაკადი ერთი საათის განმავლობაში იძლევა სამ სათილ წყალს. ეს წყალი ჩადის ოთხ-კუთხიან ცემენტის ყუთში, სადაც იგი გროვდება; წყალი, როცა გროვდება, ცისფერი დაჰკრავს. გემო კვერცხის გულისა აქვს; შემადგენლობით დიდი ნაწილი მისი არის გოგირდი, ამიტომ ამ აბანოს გოგირდის წყლის აბანოსაც უძახიან.

წყალი რამდენიმე ალავას გამოდის. იგი გროვდება სულ სამ აუზში; ერთი ამ აუზთაგანი, როგორც უკვე მოვიხსენიე; ცემენტისაა; ორნი სხვანი კი პირდაპირ მიწაში არიან ამოთხრილნი, და თუ პირველ აუზიდან წყლის ვერც ერთი წვეთი ვერ გაეონავს მიწაში და უსარგებლოდ არ დაიკარგება, სამაგიეროდ ორ აუზიდან, რომელნიც არაფრით არ არიან შემოზღუდულნი, წყალი თავისუფლად მიდის მიწაში და ეს ეტყობათ იქვე მდგომ მცენარეთ; ეს წყალი მათ შერგებიათ, რადგანაც შესამჩნევად წამოზრდილან და წამოქოჩრილან.

გორის-ჯვრის წყლის ნიმუში გაუზღავნიათ ამ რამდენიმე წლის წინად პეტერბურგში საანალიზოდ, ესე იგი — შემადგენლობის გამოსაკვლევად, და ამ საქმის მოთავენი იძახიან, რომ

ამ წყლის შესწავლის და გასინჯვის შედეგი ძალიან კარგი აყო.

ტემპერატურა წყლისა არის 17,5 გრადუსი, ცელსის ტერმომეტრით.

როცა წყალი საკმაო მოგრძობება, დაგუბდება ამ სამს აუზში, შემდეგ იგი გაჰყავთ პატარა მილით ან ასხამენ სათილღებით დიდ ოთხ-კუთხიან ქვაბში, რომელსაც სიგრძე-სიგანე ერთ ალბზე მეტი აქვს. ამ ქვაბში წყალი იმდენად თბება, რამდენადაც ეს საჭიროა ავადმყოფისათვის. შემდეგ ქვაბიდან წყალი მიდის მობანავეს სურვილისამებრ საბანაო აუზში, სადაც, თუ რომ საჭიროა, ცივი წყლით ნელდება. სულ არის ექვსი აუზი; ზოგი მათგანი მოზრდილია, ზოგი კი-მომცრო, ამიტომ ფასშიაც განსხვავებაა; დიდ აუზში ბანაობა ღირს ორი მანეთი, ხოლო პატარაში—ერთი მანეთი. ბანაობის შემდეგ ავადმყოფი წვება თბილად ლოგინში, იდენს ოფლს და, როცა სდგება ზეზე, შვებას ჰგრძნობს. ბანაობა გორის—ჯვრის აბანოში შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ დროს განმავლობაში, სახელდობრ შემდეგ თვეებში: მაისსა, თიბათვესა, და მკათათვეში, აგრეთვე ენკენისთვის პირველ დღეებში, თუ თბილი დარი დაიჭირა. ამ აბანოში ბანაობას ძალიან ხშირად ურჩევენ ავადმყოფებს ექიმები, რადგანაც კარგად უწყია ამ აბანოს წყლის უებარი სამკურნარო ძალა.

გორის-ჯვრის აბანოს წყალი ჰკურნავს ქარებიანს, შეცივულს და დაკუტებულს.

წყალი საერთოდ ნაკლებია; ზოგჯერ იმდენი მიდის აბანოში მსურველი ბანაობისა, რომ წყალი არა ჰყოფნით; მაშინ ავადმყოფნი იძულებულნი არიან, წყლის სიმცირის გამო, რამდენიმე დღეობით და ზოგჯერ კვირითაც უცადონ ბანაობის რიგს. იქვე ახლო კერძო კაცის მამულში არის ქა, სადაც ისეთივე წყალი ამოდის, როგორც აბანოშია, ამიტომ ხშირად,

როცა აბანოში წყალი კლებულობს და მობანავით არ ჰყოფნით, ამ ქიდან ეზიდებიან ხოლმე წყალს.

საერთოდ მობანავენი სეზონის განმავლობაში ნაკლებად მოდიან ამ აბანოში; ამის მიზეზი არის ჯერ ერთი ის, რომ ამ აბანოს არსებობა არ იცის ფართო საზოგადოებამ, და მეორე მხრივ ის, რომ იგი არ არის კარგად მოწყობილი.

გორის ჯერის აბანოს მომავალი დიდი აქვს; მისი გამშვენიერება, მიწის მოთხრა, მთის ნაწილის ჩამოღება და მიგნება წყლის მთავარ ძარღვისა, წყლის მოგროვება და უფრო გონიერულად სარგებლობა—მომავლის საქმეა. აგება ახალ შენობისა და მისი მოწყობა ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე სამეცნიერო მკურნალობის წესი, კარგ ბინების და საბინაო აუზების მოწყობა, მისი სახელის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, ქ. გორიდან კარგი გზატკეცილის გაყვანა—ესეც მომავლის საქმეა, და იმედია გამოჩნდება მადლიანი ადამიანი, რომელიც ყველა ამას იკისრებს და ამ მხარეს, ახლა მიძინებულს, გააღვიძებს და ააყვავებს.

ამ აბანოს მიდამოებში არის კიდევ სამი შესანიშნავი წყარო, რომელნიც საჭიროა აქვე მოვიხსენიო.

პირველი წყარო გამოდის ნახევარი ვერსით მაღლა აბანოზე, მთის ფერდობში; ეს წყარო იგივე შემადგენლობის არის, როგორც აბანოს წყალი, და სამწუხაროა, რომ შორს არის და მისი საბანაოდ გამოყენება არ შეიძლება; ამ წყაროს წინ პატარა ველია, მწვანით მოსილი, ირგვლივ არტყია ჩრდილიანი და გრილი ას-წლოვანი მოხუცი უზარმაზარი ხეები; ამ წყაროს წყალს გვალვის დროს ხმარობენ სარწყავად; ჯერ აგუბებენ რამდენიმე დღით, და როცა წყალი მოგროვდება, მიჰყავთ ვიწრო რუს შემწეობით სარწყავად; რწყავენ რიგრიგობით დაბლა გაშენებულ ვენახებს, აბანოს გვერდით.



მეორე წყარო ზევით გამოჩუხჩუხებს; იმ ადგილს ხალხი ეძახის „გორისას“. წყაროს ახლო სდგას პატარა ეკლესია, წმ. თევდორეს სახელობაზედ აშენებული. ეს ადგილი წარმოადგენს მთის გავაკებულ ფერდობს და გამოსადეგია სახანავ-სათესად; მოსავალი კარგი იცის. ამ ადგილს წმ. გიორგის დღეობის დღეს, რომელსაც იქვე მდებარე გორი-ჯვარის ეკლესია აღესასწაულობს 23 აპრილს, იკრიბება მრავალი ხალხი და იმართება ლხინი, და აი სწორედ ამ დღეს ეს წყალი ხალხს დიდ სიკეთეს უშვრება; მაგრამ სხვა სიკეთეც ამ წყლისა ის არის, რომ მითი შეიძლება მოირწყვას იქ მოყვანილი ყანა გვალვის დროს; წყალი ამ წყაროში ცივია, გემრიელი და ბროლივით სუფთა.

მესამე წყარო მდებარეობს თვით გორის—ჯვარის ეკლესიის ძირში. გორის—ჯვარის ეკლესია ძველია, აშენებულია მიუდგომელ კლდეზე და გარს გალავანი არტყია; ეტყობა ის ერთ დროს ციხე ყოფილა; მაშინ ის მტრისაგან მიუვალი და დაუძლეველი ციხე იქნებოდა. გორის—ჯვარი შორიდან სჩანს, როგორც აღმოსავლეთის მხრიდან, ისე დასავლეთიდან. მის წინ გაშლილია მთელი შუა ქართლის ველი და ქალაქ გორსაც ზედ დასცქერის მამობრივ სიყვარულით. მის ქვეშ მიიქლავება რკინის გზა. გორის—ჯვარი იყურება ამაყად და გოროზად, თითქოს ამზობდეს: ხედავთ რა ძვირფას რძეს იწურავს იმ მთის ძუძუ, რომელსაც მე ვავვირგვინებო.

წყარო ეკლესიის ჩრდილოეთით, დაბლობში არის; ისიც ძველია, ისტორიული; იგი გამოყვანილია შორს მდებარე მაღალ მთიდან; სახელი ამ მთისა—ბურეთია. წყარო დედოფალ რუსუდანის გაკეთებულია. ეს დედოფალი იყო მეუღლე ვახტანგ სჯულ-მდებელისა და ასული ჩერქეზთ ბატონისა. შემდეგ წყარო გაფუჭებულია და განახლებულია ირაკლი მეორის

მეფობის დროს; განაახლა ოთარ ამილახვარმა. როცა დაწყდება ზოლმე წყალი, გორის-ჯვრის მცხოვრებნი დიდ შრომას ხარჯავენ და ანახლებენ ამ წყლის კალაპოტს, რომელიც თითქმის სამი ვერსის სიგრძეზე მოკირწყლულია კლდით და ამოღესილია კირით. ზევიდანაც თხელი კლდის ფიცარი ჰხურავს. ამ წყაროს წყალი გრილია, ანკარა და კეთილგემოიანი.

ი. ხუცაშვილი.





## შ ა რ ა ლ ე ბ ი

(წარმოდგენილია ზ. ხაორაძის მიერ)

### I

ერთი—საჭრელ იარაღად  
იხმარება შინ და გარედ;  
მეორე—ნათესავია,  
ქალია, ქალსვე ახარეთ;  
შემდეგ ხორბლის საფქველ ქირას  
ბოლო ასო მოაცალეთ;  
დანარჩენსა რიცხვი დართეთ,  
მცირე რამეს ააცალეთ,  
და ერთად მთელ აზრის ზურგზე  
ირბინეთ და იცანცალეთ.

### II

ლობის და ვაზის დამკერსა  
ბოლო ასო მოაკელი,  
დაუმატე—ვისაც უხვად  
სხვისთვის გაშლილი აქვს ხელი,  
და ერთად მარანში ნახავ,  
ხის ან ქვისა არის, თხელი.






# რ ე ზ უ ს ი

(წარმოდგენილი კ. შარათაშვილის მიერ)

მ,




ზ



”

ს



”

ც

”



ზ



უ



”

,”



,”



”



# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

დასურათებ ული საყმაწვილო ჟურნალი

თბილისში  
გ. ბ. ჯ. მ. მ. მ. მ.

წელიწადი  
მეტამეტე.

## „ნაკადული“

წელიწადი  
მეტამეტე.

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუარნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმით. თვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან.—ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიდაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

### ხელის მოწერა მიიღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. №8. Редакция „Накадули“, Головинский пер. №8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, №2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძისთან. ბათუმში—ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძისთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან ტინიო ლომოურთან. ჳიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. კავქანიძისთან. მიხაილოვოში—გო. ორგი ნაკაშიძისთან: ოზურგეთში—სალომე ხუნდაძისთან, ლანიხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი შ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.